საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 38 (58) სამშაბათი, 26 თებერვალი, 1991 წელი. ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის

ჯემალ ნინუა (გაზეთი „რესპუბლიკა“) — ბატონო ზვიად, ასი დღე შესრულდა, რაც ქართველმა ხალხმა თქვენ, თავისი ნებით, ხელმძღვანელად აგირჩიათ. რისი თქმა შეიძლებოდა განვლილ პერიოდთან დაკავშირებით დღეს. რამდენად გამართლდა თქვენი პოლიტიკური პროგნოზები და როგორ გესახებათ საქართველოს რესპუბლიკის მომავალი ამ განვლილი პერიოდის გათვალისწინებით?

— უნდა მოგახსენოთ, რომ პირველივე დღეებიდან ცხადი გახდა, რომ ამ პროცესებზე, საქართველოში მიმდინარე პროცესებზე არის ძალზე მწვავე რეაქცია ცენტრისა. შეიძლება ითქვას, ცენტრმა პირდაპირ გამოგვიცხადა ომი. ომი ყოველგვარი საშუალებებით — ბლოკადით, კერძოდ, ენერგეტიკული, სასურსათო და ყოველგვარი სახის ბლოკადით, შინაგანი დესტაბილიზაციით, აქ თავისი აგენტურის მობილიზებით და ჩვენს საწინააღმდეგო აქციების გაძლიერებით. ეს სავსებით აშკარაა, ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით თითქმის სამოქალაქო ომის სიტუაციას. განსაკუთრებით სამაჩაბლოში. ასეთ პირობებში ყველაფერი ის, რასაც ჩვენ ვგეგმავდით ხალხის საკეთილდღეოდ, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისათვის, მშვიდობის დამყარებისათვის რესპუბლიკაში, ძალზე ძნელად მიმდინარეობს იმიტომ, რომ იმპერია მობილიზებულია საქართველოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით მისი პროპაგანდისტული მანქანა და ეს ძალზე შორს მიმავალ შედეგებსა და მიზნებს ისახავს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობის ნაწილი მხარში ამოუდგა ამ იმპერიულ ძალებს და მათთან ერთად ცდილობს დესტაბილიზაციის შექმნას და ყოველნაირად გვიშლის ხელს ქართველი ერისათვის სასიკეთო ძვრების განხორციელებაში. ჩვენი საპარლამენტო მოქმედება, მოგეხსენებათ, მიმართულია ჩვენი ერის ინტერესების სამსახურისაკენ, მშვიდობის დამყარებისაკენ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, მაგრამ ეს არის სწორედ ის, რაც არ აწყობს ცენტრს. და ამავე დროს, არ აწყობს ჩვენი საზოგადოების გარკვეულ, გადაგვარებულ ნაწილს, მაფიოზურ ძალებს, კორუმპირებულ ძალებს და ფსევდო ოპოზიციას. აი, ასეთი ვითარებაა საქართველოში, შეიძლება ითქვას, რომ ძალზე სერიოზულად გვიშლიან ხელს. ასე რომ, ჯერჯერობით რეალური, სასიკეთო ძვრები არ შეიმჩნევა და არ არის სახარბიელო თუ ყოველივე ასე გაგრძელდა.

— ბატონო ზვიად, გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა საკავშირო უმაღლესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვა და კიდევ ერთიც. საკავშირო პარლამენტსა და რუსეთის პარლამენტს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით სხვაობაა...

— მოგახსენებთ. ეს დადგენილება არის ყოვლად არაკომპეტენტური და უკანონო. ვინაიდან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება სამაჩაბლოს მთელ ტერიტორიაზე არ წყვეტს ცხინვალის პრობლემას, არ წყვეტს ოსი ექსტრემისტების ალაგმვის პრობლემას. ეს იქნება მიმართული ქართველი ერის წინააღმდეგ, ამ რეგიონის ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს იქნება განმტკიცება ოსი ექსტრემისტების პოზიციებისა. გარდა ამისა, ამან შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის ესკალაცია მთელს საქართველოში, სადაც კი ოსები სახლობენ. მოგეხსენებათ, ასეთი რაიონები ძალზე ბევრია. ჩვენ ეს ვუთხარით აქ ჩამოსულ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვორონინს. ყველაფერი ეს ავუხსენით, დავუსაბუთეთ. იგი, თითქოს და, მართლაც შეფიქრიანდა, მაგრამ ამის შემდეგ რა პოზიციას დაიჭერენ არ ვიცით. ის წავიდა შემდეგ ცხინვალში და ახლა ისევ მოსკოვში გადაფრინდა. მაგრამ მთავარი, რაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ, და სჯობია ვიცოდეთ სიმართლე, ვიდრე თავი მოვიტყუოთ ისაა, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი არის სინამდვილეში ცენტრის და ოსი ექსტრემისტების ომი საქართველოს წინააღმდეგ, ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს არავითარი ეთნიკური კონფლიქტი არ არის. ესაა ცენტრის სადამსჯელო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს მთელი ამ ტერიტორიის ჩამოცილებას საქართველოდან. ეს უკვე იგეგმება. აი, ახლა მოგვივიდა წინადადება, რომ სამ დღეში შემოვიღოთ საგანგებო მდგომარეობა. ჩვენ ამას, რასაკვირველია, არ გავაკეთებთ. ამის შემდეგ, ალბათ, პრეზიდენტის ბრძანებულება გამოვა, რომელიც ჩვენს გარეშე შემოიღებს საგანგებო მდგომარეობას და როგორც ეს ყარაბაღში მოხდა, მოახდენს მთელი ამ ტერიტორიის იზოლირებას საქართველოსაგან. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი ეს ტერიტორია დაკარგული იქნება საქართველოსათვის. აი, მიზანი ცენტრისა, რომლისთვისაც იგი იბრძვის ყოველნაირი საშუალებებით და განსაკუთრებით პროპაგანდისტული საშუალებებით. მოხდა დეზინფორმირება საზოგადოების გარკვეული ნაწილისა. ეს იქნება, რასაკვირველია, კატასტროფული შედეგი. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამას პასუხის გარეშე არ დავტოვებთ. იქნება ქართველი ერის ძალზე მწვავე რეაქცია. ვიმეორებ, ცენტრის გეგმა სამაჩაბლოს ჩამოცილებაა საქართველოდან. აი, ესაა მათი მთავარი მიზანი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს, იქ რა ძალები ბატონობენ, ეს ყველასათვის კარგადაა ცნობილი და ისინი ამ იმპერიალისტურ კურსს ემორჩილებიან, რასაკვირველია მას უჭერენ მხარს, მაგრამ აი, რუსეთის უზენაესი საბჭოს გარკვეული ნაწილი ხედავს ამ უსამართლობას და ჩვენ უფრო გვიჭერს მხარს. გუშინ იყო, მაგალითად, ოსების მიერ მოწყობილი პრესკონფერენცია მოსკოვში. აწყობდა გენერალი ცაგოლოვი. იგი ექსტრემისტების ლიდერია, რომელიც ახლა პროფესორად შეინიღბა, მოუშვა წვერი ლევ ტოლსტოის მსგავსად. ეს არის ტერორისტული ბანდების მეთაური, რომელიც დივერსანტებს აგზავნის სამაჩაბლოში. მოსკოვში იგი ცდილობდა დიდი მშვიდობის მქადაგებლის როლში გამოსვლას, მაგრამ იქ ჩავიდნენ ოსი ლტოლვილები სამაჩაბლოდან და ეს პრესკონფერენცია ფაქტობრივად ჩაშალეს, ამხილეს იქვე ცაგოლოვი და მისი ბანდა და მათ ვერ შესძლეს საზოგადოების მოტყუება, ამით აიხსნება ის, რომ გუშინ „ვრემია“ შედარებით ჩუმად იყო ამ საკითხზე და პრესაც ასე თუ ისე კორექტულად იქცევა. მაგრამ ეს, რასაკვირველია არ აინტერესებს ცენტრს. ცენტრს აქვს მიზანი. ცენტრის მიზანია ჩვენი დასჯა, ჩვენი დასჯა იმისათვის, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვით და არ ვაწერთ ხელს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე. და აი, ამისათვის იყენებს ცენტრი სამაჩაბლოს. ასეთია მდგომარეობა.

— ბატონო ზვიად, ჩვენ, რასაკვირველია, ვიცით, რომ ამჟამად, ამ დღეებში რაც მიმდინარეობს, (მხედველობაში მაქვს „მხედრიონის“ წევრთა იზოლირება), თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია, მაგრამ მაინტერესებს, როგორია ამასთან დაკავშირებით უზენაესი საბჭოს პოზიცია და რას გვეტყვით ამის გამო.

— მოგახსენებთ, რომ არც ერთ სახელმწიფოში, არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში არ არის დაშვებული ტერორიზმი. ტერორიზმს გმობენ საერთაშორისო სამართალი, ყველა სახელმწიფო, თვით ტოტალიტარული სახელმწიფოებიც, თვით საბჭოთა კავშირიც. ასე რომ, ტერორიზმის დაშვება ყოვლად გამორიცხულია ნებისმიერ სამართლებრივ სახელმწიფოში. ტერორიზმის თავისუფლება არსად არ არსებობს და ამაზე ერთი აზრია მთელ მსოფლიოში. მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში, ჩვენი გადაგვარებული ინტელიგენციის გარკვეულმა ნაწილმა საჭოჭმანო გახადა ეს ჭეშმარიტება და ამ ბანდებთან ალიანსით გამოდის, ამ ტერორისტების განთავისუფლებას მოითხოვს და ვითომცდა არადემოკრატიულ ღონისძიებებს უწოდებს ამგვარ მოქმედებას. ეს ყოვლად დაუშვებელი, აღმაშფოთებელი ამბავია და ჩვენ ამას ვამხელთ, ვამხელთ და დავამტკიცებთ, რომ ინტელიგენციის ამ გადაგვარებულ წარმომადგენლებს მართავს მოსკოვი, და იმათაც მალე გამოვააშკარავებთ, ვინც მას წარმოსახავს და ვისი ინსპირაციითაც მოქმედებენ ეს ტერორისტული ბანდები ე. წ. „მხედრიონისა“ საქართველოში. დავამტკიცებთ იმასაც, რომ შავნაბადის ინციდენტი იყო დადგმა, რომ ეს იყო ინსცენირება საქართველოში ვითომდა შეიარაღებული აჯანყებისა. რა სურს ცენტრს, მეგობრებო? ცენტრს სურს, რომ საქართველოში მოხდეს შეიარაღებული აჯანყება, რომ საქართველოში არმიას, საბჭოთა არმიას პირდაპირ დაესხან თავს გარკვეული ძალები, მოხდეს მათ შორის შეჯახება და შემდეგ ცენტრმა შემოიყვანოს აქ დიდი ძალები და მთელ საქართველოში გამოცხადდეს კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა. ამაში შესანიშნავად უწყობენ ცენტრს ხელს ე. წ. „მხედრიონის“ ბანდები. მოხდა ეს შავნაბადაზე, და ეს იყო დასაწყისი. ჩვენ რომ არ დაგვეპატიმრებინა ამ ბანდის ხელმძღვანელები, დღეს მთელ საქართველოში საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გვქონოდა. გესმით, აი, ასეთი საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი ეს დროულად ავიცილეთ თავიდან, თუ კიდევ რაღაც ახალი არ მოისაზრა ცენტრმა, როგორც ჩანს, ახლა მხოლოდ სამაჩაბლოს იმედად დარჩნენ ისინი. ალბათ, ამ საფრთხესაც თავიდან ავიცილებთ.

ირაკლი კეშოშვილი („ჯორჯიან მესინჯერი“): ბატონო ზვიად, არსებობს თუ არა რაიმე მონაცემი იმის თაობაზე, თუ ისეთი ფორმირებების, როგორიცაა „მხედრიონი“ და, საერთოდ, კონგრესის მოძრაობის უკან მოსახლეობის რამდენი პროცენტი დგას, რადგან სახელწოდება კონგრესი ძალიან პომპეზურად ჟღერს და ჩვენ, ალბათ, უნდა ვიცოდეთ ეს. და მეორე შეკითხვა, ბარემ აქვე გეტყვით: მოელით თუ არა თქვენ, რომ, როცა ერაყის ომი დასრულდება, შეიძლება მოსკოვი უფრო ფრთხილი გახდეს საქართველოს მიმართ?

— რასაკვირველია. რასაკვირველია უფრო ფრთხილი გახდება და ერაყის ომის მიზეზით არის სწორედ ასეთი მდგომარეობა შექმნილი და ცენტრი იმიტომ შეეცადა ბალტიისპირეთის, ასე ვთქვათ, მოთვინიერებას, რომ მას ჰქონდა ერაყის ომის იმედი, და ახლა საქართველოშიც იგივეს ახორციელებს, ე. წ. სამხრეთ ოსეთში. რაც შეეხება კონგრესს და მხედრიონს, მას მხარს უჭერს ძალზე მცირე ნაწილი საქართველოს მოსახლეობისა, რომელიც, ალბათ, ერთ პროცენტსაც არ შეადგენს, ჩვენ ამას დავამტკიცებთ, დავასაბუთებთ რეფერენდუმით. ჩვენ მოვაწყობთ გამოკითხვას, თუ რამდენმა პროცენტმა მისცა ხმა ე. წ. ეროვნულ კონგრესს, და დავამტკიცებთ, რომ ეს იყო ფალსიფიცირებული არჩევნები და გამოვავლენთ ყველას, ვინც ამ არჩევნებში ნამდვილად მიიღო მონაწილეობა. თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს საქართველოს მოსახლეობის მეასედ პროცენტსაც არ უდრის. ეს ერთი. მეორე, უნდა მოგახსენოთ, რომ ე. წ. კონგრესი და მასში გაერთიანებული პარტიები ჩვენი ეროვნული მოძრაობის მოღალატეები არიან, და აი, რატომ. თავდაპირველად, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი მოძრაობა იმთავითვე იყო მშვიდობიანი, ყოველგვარი შეიარაღებისაგან თავისუფალი, და თვით კონცეფცია ჩვენი მოძრაობისა იყო მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის კონცეფცია. ეს იყო ის, რასაც ინდოეთში ქადაგებდა მაჰათმა განდი, რასაც პოლონეთში ქადაგებდა ლეჰ ვალენსა, და ამით იყო ჩვენი მოძრაობა ძლიერი, ამაში იყო ჩვენი მოძრაობის უდიდესი მორალური ძალა. და აი, ამ მორალურმა ძალამ გაიმარჯვა ცხრა აპრილის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილს ჯარები გამოიყენეს, დაგვარბიეს, ჩვენ მორალურად გავიმარჯვეთ. ჩვენ არც ერთი დანა, არავითარი იარაღი არა გვქონია, ვიყავით სრულიად შეუიარაღებელნი, და მსოფლიოს თვალში ეს იყო უდიდესი მოგება, უდიდესი გამარჯვება. აი, ამას ხედავდა კრემლი, მეგობრებო, და მანაც დაინახა ასეთი სერიოზული საფრთხე ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკური მოძრაობის სახით, და გადაწყვიტა, თავისი აგენტურის მეშვეობით ჩვენი მოძრაობა გადაიყვანოს შეიარაღებული ბრძოლის, შეიარაღებული აჯანყების რელსებზე, ვინაიდან მაშინ ჩვენს მოძრაობას თავისუფლად დაამარცხებს. აი, ეს ანბანური ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, ცხადი გახდა კრემლისათვის 9 აპრილის ამბების შემდეგ, და მან ინტენსიურად დაიწყო ზრუნვა იმისთვის, რომ თავისი აგენტურის მეშვეობით ჩვენი მოძრაობის შიგნით შეექმნა შეიარაღებული ჯგუფები და მიაღწია კიდევაც ამას. სწორედ ეს ადასტურებს, რომ კონგრესის უკან დგას კრემლის აგენტურა, ვინაიდან კონგრესი დღეს ემყარება უკვე შეიარაღებულ ძალებს და უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს. კონგრესში გაერთიანებული პარტიები უკვე მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზას კი არ ადგანან, არამედ შეიარაღებული ტერორის გზას, შეიარაღებული აჯანყების გზას, ვინაიდან პირდაპირ, განსაკუთრებით ჭანტურიას პარტია, უკვე შეეზარდა მხედრიონს, მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ესაა შეიარაღებული ტერორისტული ბანდები, რომლებიც მთელ საქართველოში ტერორისტულ აქტებს ახორციელებენ, თავს ესხმიან მილიციას, თავს ესხმიან მოქალაქეებს, თავს ესხმიან პოლიტიკურ ოპონენტებს. აი, ეს არის კრემლის უდიდესი გამარჯვება, მეგობრებო. რატომ დაადგნენ კონგრესის პარტიები ამ გზას? იმიტომ, რომ მათ ხალხში მხარდაჭერა არა აქვთ და სურთ ტერორით, შეიარაღებული ძალადობით დანერგონ თავიანთი იდეები და აიძულონ ხალხი გახდეს მისი მიმდევარი. აი, ეს არის მეგობრებო, მთავარი უბედურება და ამაში მდგომარეობს კონგრესის ღალატი ეროვნული მოძრაობისადმი. ასე რომ, მთელი ქართველი ხალხი უნდა დაირაზმოს, რათა ერისგან მოიკვეთონ ეს მოღალატეები, რომელთაც ქართველი ერი დაღუპვისაკენ მიჰყავთ. ჩვენ არ დავუშვებთ იმას, რომ საქართველოში მოქმედებდეს ეს ძალა და გაგრძელდეს ის ანარქია, რომელიც დღემდე იყო. არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ამას არ დაუშვებენ, მეგობრებო, არსად არ დაუშვებენ იმას, რომ შეიარაღებული ბანდები ემუქრებოდნენ მოსახლეობას, ემუქრებოდნენ ხელისუფლებას, თავს ესხმოდნენ მილიციას, პრეფექტურას და სხვა. ასე რომ, კონგრესის მოღვაწეობა უკვე მთლიანად იდენტურია მხედრიონის მოღვაწეობისა, ხოლო ყოველივე ამის უკან დგას კრემლი, მოსკოვი, რომელსაც საქართველოში ეროვნული მოძრაობის ჩახშობისა და განადგურების შორს გამიზნული ზრახვები აქვს.

კახა სიხარულიძე („საქართველოს რესპუბლიკა“): ბატონო ზვიად, თბილისში გროვდება ხელმოწერები ბატონ ჯაბა იოსელიანის თავდებით გამოშვების მოთხოვნით. თქვენ რა შეფასებას მისცემდით ამ ფაქტს. და ერთი შეკითხვაც. ახლა, ამ წუთებში, კინოს სახლთან მიმდინარეობს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიტინგი საოკუპაციო ჯარის საქართველოდან გაყვანის მოთხოვნით. ამასთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია, თუ შეიძლება.

— დიახ, ხელმოწერები ტერორისტების განთავისუფლების მოთხოვნით — ეს არის ზნედაცემულობის უდიდესი გამოვლინება. მაგრამ მე არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ეს ხელმოწერები დაშინებისა და ტერორის გზით ხორციელდება. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჯერაც ეშინია მათი. ასე რომ, მე ეს არ გამიკვირდება, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი ხალხის მორალური სახე ნათელია. რაც შეეხება მიტინგს, მე მიმაჩნია ეს პროვოკაციად. ცენტრს სურს დაასაბუთოს, რომ საქართველოში არის შეიარაღებული აჯანყება, თავდასხმა ჯარებზე და სხვა. ყოველგვარი გაღიზიანება სამხედროებისა მიმაჩნია უგუნურებად. საოკუპაციო ჯარის გაყვანა აუცილებელია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მშვიდობიანი საშუალებებით, საერთაშორისო სამართლის ჩარევით, და არა ხულიგნური თავდასხმებით ჯარსა და საბჭოთა არმიაზე. ამას მხოლოდ უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

გიორგი ფოფხაძე (რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია): ბატონო ზვიად, მაპატიეთ, მე მთელი კასკადი მაქვს, ექვსი კითხვა მაქვს, სხვადასხვა მიზეზისა გამო მე დიდი ხანია არ მქონია თქვენთან შეხვედრისა და ინტერვიუს საშუალება და ამიტომ მაპატიეთ, ბევრ შეკითხვას მოგცემთ. პირველი კითხვა იქნება ასეთი. რა გეგმები აქვს საქართველოს პარლამენტს სამაჩაბლოს კონფლიქტის რეგულირებისა? მეორე. გარკვეული პოლიტიკური წრეები საქართველოს უზენაეს საბჭოს ბრალს სდებენ, დიქტატურის გზას დადგათ. ამის მაგალითად მოჰყავთ პრეფექტის ინსტიტუტის შემოღება. როგორ პასუხს გასცემთ ოპონენტთა ამ განცხადებას? და მესამე. გარკვეული პოლიტიკური წრეები და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მხედრიონის წევრებსა და თავმჯდომარეს, ჯაბა იოსელიანს, პოლიტიკურ პატიმრებად აცხადებენ. თქვენი აზრით, არიან თუ არა საქართველოში პოლიტპატიმრები. მეოთხე. აფხაზეთშიც ისეთივე სიტუაციაა...

— მოითმინეთ. თხუთმეტი კითხვა ერთად არ შეიძლება. თუ გნებავთ, ერთი სწორი კითხვა დამისვით, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ და გაგცემთ პასუხს. ეს ერთი. და მეორეც, მე რადიო „თავისუფლების“ ქართულ განყოფილებას ვუცხადებ ბოიკოტს, ვინაიდან ის მოღალატურ საქმიანობას ეწევა, თქვენ პირადად კი გაგცემთ პასუხს, მაგრამ მოვითხოვ, რომ ჩემი სახელით არ გადაიცეს არაფერი რადიო „თავისუფლებაში“, ვინაიდან ის მოღალატურ გზას ადგას.

შეეხო რა „თავისუფლების“ ქართული რედაქციის გადაცემებს, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ პროვოკაციული სიუჟეტებითა და დეზინფორმაციის გავრცელებით განსაკუთრებით გამოირჩევიან კორესპონდენტები გიული ანთელავა და თავხელიძე. მაგალითად: ამას წინათ გადაიცა ცნობა, თითქოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინას თავს დასხმიან უზენაესი საბჭოს დეპუტატის ჩულოკავას მეთაურობით, ასეთი გვარის დეპუტატი არ არსებობს. სინამდვილეში ვითარება ასეთი იყო: ედპ-ს წევრებმა უზენაესი საბჭოს მანქანა გაიტაცეს. მანქანის დასაბრუნებლად ედპ-ს შტაბში მივიდა უზენაესი საბჭოს გარაჟის გამგე (!) ჭოლოკავა (იგი ოფიციალური პირი არ გახლავთ), რომელიც ცემეს და იარაღი წაართვეს მასთან ერთად მყოფ რამდენიმე გვარდიელს. აი, როგორ იყო საქმე, კორესპონდენტებმა კი შეგნებულად დეზინფორმაცია გადასცეს. ცილისწამებისათვის ისინი მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

— მაშინ მე გკითხავთ ორ ძირითად მიმართულებაზე. პირველი. რა გეგმები აქვს საქართველოს პარლამენტს კონფლიქტის რეგულირებისა და პოლიტპატიმრების მიმართ?

— კი, ბატონო. კონფლიქტის რეგულირების ყველა ცდა, სამწუხაროდ, ამოიწურა. ჩვენ ვეცადეთ, მოლაპარაკება ვცადეთ, შევხვდით ცხინვალის ქალაქის მმართველობის წარმომადგენლებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, მაგრამ მათ თურმე, არავითარი გავლენა არ ჰქონიათ ექსტრემისტებზე. ერთადერთი ისღა დაგვრჩენია, რომ დავიცვათ ჩვენი მოსახლეობა და არ დავუშვათ სამაჩაბლოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელება საგანგებო მდგომარეობისა, და ვეცადოთ, რომ ცენტრს გადავაფიქრებინოთ ასეთი გადაწყვეტილების მიღება. ესღა დაგვრჩენია. რაც შეეხება პოლიტპატიმრებს, კიდევ ვიმეორებ, რომ ქურდობა, ყაჩაღობა, იარაღისა და მანქანების გატაცება — ეს პოლიტიკური დანაშაული არ არის. ისინი, მართალია, თავიანთ მოქმედებას პოლიტიკურ სარჩულს უდებენ, მაგრამ ეს არის ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულებები. ასე რომ, მე მათ პოლიტიკურ ტერორისტებსაც კი არ დავარქმევდი. იცით, უბრალოდ მათ იყენებენ ცენტრის გარკვეული ძალები. მათი დანაშაული ჩვეულებრივი სისხლის სამართლის დანაშაულია, როგორიცაა რეკეტი, მანქანების მოტაცება, როგორიცაა ადამიანების მოტაცება და შემდეგ პატრონებისგან ფულის გამოძალვა, როგორიც არის მილიციაზე თავდასხმა და იარაღის გატაცება. ასე რომ, ეს არავითარი პოლიტიკური დანაშაული არ არის. ამას მოგახსენებთ თქვენს შეკითხვაზე. სხვათა შორის, ჭანტურიას და სხვებს პოლიტპატიმრის შარავანდედი სურთ შეუქმნან მხედრიონის წევრებს. თავიანთ პარტიებში აწევრიანებენ, რომ მათ ერქვათ პოლიტპატიმრები. ქურდობისთვის, ყაჩაღობისთვის დაჭერილ პიროვნებებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებად აცხადებენ. სხვათა შორის, მათი პარტიის წევრებიც მრავლად არიან დაჭერილი ყაჩაღობისათვის, ქურდობისთვის და ა. შ. და იმის ილუზია, რომ მე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი ვარ და ნუ მიჭერ, ყაჩაღობის, ქურდობის და ადამიანის მოტაცების ნება მაქვსო, ამის ილუზია ნურავის ნუ ექნება. არც ისე ადვილია დღეს უკვე თვალახელილი მოსახლეობის მოტყუება.

შოთა მაჭარაშვილი (გაზეთი „რესპუბლიკა“): ბატონო ზვიად, ისევ შიდა ქართლის კონფლიქტს მივუბრუნდები, თუ შეიძლება. გუშინ რუსეთის ფედერაციის სესიაზე ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა განცხადებით მიმართეს ბორის ელცინს, რათა იგი შეხვდეს საქართველოს ხელისუფალთ ნეიტრალურ ტერიტორიაზე, საქართველოს საზღვრებთან, და მოაგვაროს ე. წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილი რთული მდგომარეობა. რა შეიძლება მოგვცეს ამან?

— უკვე საკმაო ხანია, რაც მიმდინარეობს მოლაპარაკება ჩვენსა და ელცინს შორის შეხვედრაზე. მაგრამ ელცინი, რა ვიცი, ცენტრის ეშინია თუ რა არის, თბილისში ჩამოსვლას ყოყმანობს. შეიძლება მოხდეს შეხვედრა სხვაგან. ჩვენ ვფიქრობთ, სად უფრო მიზანშეწონილი იქნება, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ალბათ, მოხდება ეს შეხვედრა და იქნება საუბარი ოსეთის პრობლემებზე.

ესტონეთის რადიო: ბატონო ზვიად, თუ შეიძლება ასეთ შეკითხვას დაგისვამთ. ერთი წლის წინ, ესტონეთის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში თქვენ საქართველოში შექმნილ სიტუაციებს ანალოგიით ბალტიისპირეთში მომხდარ მოვლენებს უკავშირებდით. თუ შეიძლება, მოგვეცით დღესდღეობით მიმდინარე მოვლენების ანალოგია.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 27 თებერვალს 10 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია დაიწყება 27 თებერვალს 8 საათსა და 30 წუთიდან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ა. ი. ლუკიანოვს

პატივცემულო ანატოლი ივანეს ძევ!

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც გაეცნო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებას „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა შესახებ“, საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

უწინარეს ყოვლისა, პროტესტი უნდა განვაცხადოთ იმის გამო, რომ თქვენ კვლავინდებურად გვიწოდებთ „საქართველოს სს რესპუბლიკას“, და არა საქართველოს რესპუბლიკას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელიც დადებითად აფასებს იმ ფაქტს, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭო ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის სუვერენულ უფლებებს და იმას, რომ საჭიროა ყველა უკანონო შეიარაღებული ფორმირების გამოყვანა და დაშლა, იარაღის უკანონო წარმოების, შენახვისა და გავრცელების აღკვეთა, კონფლიქტის გადაწყვეტის გზად მიაჩნია არა საგანგებო წესების შემოღება „სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მონაწილეობით“, რაც გამოიწვევს დაძაბულობის ესკალაციის იმ რაიონებში, რომლებსაც სრულიად არ შეხებია კონფლიქტი და სადაც ოს მოლაშქრეებს არავითარი მხარდაჭერა არა აქვთ, არამედ ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში მოკალათებული უახლესი სამხედრო ტექნიკით შეიარაღებული ოსი ექსტრემისტების დაუყოვნებლივ განიარაღება. სსრ კავშირის და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროების ძალების დაქსაქსვა მთელ რეგიონში მხოლოდ შეასუსტებს კონფლიქტის ყველაზე საშიშ წერტილში მშვიდობის დამყარების აქციის განხორციელების შესაძლებლობას. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ იმ რაიონებში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გამოყენების პოლიტიკური შეფასებაც, რომლებსაც არ შეხებია კონფლიქტი და სადაც მშვიდობიანად ცხოვრობენ ოსთა და ქართველთა ოჯახები. ასეთი რაიონი მრავალია ყოფილი ოლქის ფარგლებს გარეთაც, სადაც 100.000 ოსი ცხოვრობს. მთავარია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების არსებული ძალებით წავართვათ ოს მოლაშქრეებს ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში როგორც ქართველი, ისე თვით ოსი მოსახლეობის ტერორიზების შესაძლებლობა. ყოფილი ავტონომიური ოლქის სხვა რაიონების მოსახლეობის უსაფრთხოების თავდებია საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

დადგენილება არ ითვალისწინებს, რომ ელექტრობლოკადა შემოიღო ენერგეტიკოსთა დამოუკიდებელმა კავშირმა ოსი მოლაშქრეების კონტროლს დაქვემდებარებულ ქარხნებში იარაღის წარმოების პასუხად, სადაც ხელი ვერ მიუწვდებათ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს. ამიტომ მხოლოდ ქარხნებისათვის მისაწოდებელი ელექტროენერგიის გამორთვა შეუძლებელია.

რაც შეეხება ბავშვების, ავადმყოფებისა და ხანდაზმულების ტანჯვას, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთგზის შეუთავაზებია მათი გამოყვანა უსაფრთხო ზონებში, მაგრამ უარი უთხრეს. ისინი მოლაშქრეთა მძევლებად დარჩნენ.

სურსათი, რომელსაც აწოდებდნენ, დანიშნულებისამებრ ვერ მიდიოდა და მოლაშქრეებს რჩებოდათ.

ამჟამად რეგიონში არ არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ მოლაპარაკება კონფლიქტის მოწესრიგებაზე. სხვადასხვა დაჯგუფებანი ომობენ ერთმანეთს შორისაც, და არც ერთ მათგანს არ შესწევს უნარი შეწყვიტოს მოლაშქრეთა მოქმედება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მზად არის აწარმოოს მოლაპარაკება შიდა ქართლში ოსი მოსახლეობის წარმომადგენლებთან, რომლებსაც აქვთ ასეთი უფლებამოსილება, მაგრამ იმ პირობით, რომ ამავე დროს განხორციელდება ეფექტიანი ღონისძიებანი ოსი მოლაშქრეების მოქმედების შეწყვეტისა და საგანგებო წესების მოქმედების ზონაში. სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რადგან უამისოდ თავიდან ვერ ავიცილებთ ოსთა მხარის წარმომადგენლების ტერორიზებას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მოლაპარაკებაში კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე.

დასასრულ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ შეუძლია სინანულით არ აღნიშნოს, რომ „მოქალაქეთა, მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საოლქო თეატრის დაწვისა და გაძარცვის“, „ისტორიისა და კულტურის ძეგლების წაბილწვის“ შემთხვევები, რომლებიც აღნიშნულია სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილების პრეამბულაში, აშკარად წარმოდგენილია როგორც ქართველთა მხარის ვანდალიზმი, მაშინ როცა აქციების უდიდეს უმრავლესობას სჩადიან ოსი მოლაშქრეები (სხვათა შორის, გაძარცვულია ქართული საოლქო თეატრიც, დამწვარია ქართული სკოლები და ა. შ.), რამაც საპასუხო რეაქცია გამოიწვია. რატომღაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება დუმილით უვლის გვერდს კონფლიქტის სათავეებს, რაც ამხნევებს ოს ექსტრემისტებს და კიდევ უფრო ამწვავებს კონფლიქტს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალაქ ცხინვალიდან გაძევებულია ქართველი მოსახლეობა, ცხადი გახდება, ვინ არის იმ ძარცვისა და ძალმომრეობის აქციათა ინიციატორი და გამტარებელი, რომლებსაც ქართველებს მიაწერენ.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო ხანს საქართველო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ვანდალური დეზინფორმაციის ობიექტად იქცა, რაც მხოლოდ ამწვავებს ისედაც დაძაბულ ვითარებას. ამის გამო პროტესტს აცხადებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

რეგიონში და უწინარესად, ცხინვალსა და ჯავაში მხოლოდ ყველა შეიარაღებული ფორმირების დაუყოვნებლივ განიარაღება მოგვცემს შესაძლებლობას ვაწარმოოთ ნაყოფიერი მოლაპარაკება ოსი ექსტრემისტების მიერ დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართვა შეიარაღებული პარტიებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებისადმი

თანამემამულენო!

როგორც იცით, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები ახდენენ სხვადასხვა პარტიებისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ხელში არსებული იარაღისა და გატაცებული ტექნიკის ჩამორთმევას. უკვე ჩამორთმეულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, ასაფეთქებელი მასალები, სამხედრო ტექნიკა, სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანები.

შინაგან საქმეთა ორგანოებს საკმაოდ ფართო ინფორმაცია აქვთ იმის თაობაზე, თუ სად, ვის ოჯახში, ან რა ადგილას ინახება უკანონო ფორმირებათა იარაღი, ტყვია-წამალი და გატაცებული ავტოტექნიკა. ჩვენ მიზნად არ გვაქვს ძალის გამოყენებით მათი ამოღება, ვინაიდან არ გვინდა სისხლისღვრა და გაუმართლებელი მსხვერპლი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროდ მიაჩნია გააკეთოს განცხადება, რომ მიუხედავად ჩვენი არაერთგზის გაფრთხილებისა, ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი და უკანონო ფორმირებათა ხელმძღვანელი არ ჩქარობს ყურად იღოს ჩვენი მიმართვა, რაც იძულებულს გვხდის განვახორციელოთ სათანადო ოპერაციები. თუ რა შედეგს მოიტანს ყოველივე ეს, ამისთვის პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრებათ იმ პარტიების და უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ხელმძღვანელებს, რომლებმაც არაფრად ჩააგდეს ჩვენი გაფრთხილება. (საქინფორმი).

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას პრესკონფერენცია

(დასასრული)

— ბალტიისპირეთის ქვეყნები იმისთვის ისჯებიან, რომ იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის. მათ წინააღმდეგ სამხედრო ძალას იყენებენ. ასევე, საქართველოს წინააღმდეგაც იყენებენ სამხედრო ძალას. ცენტრი იბრძვის საქართველოს წინააღმდეგ თავის ჯარებზე და ოს ექსტრემისტებზე დაყრდნობით, მაგრამ ამას აძლევენ ეთნიკური კონფლიქტის სახეს. მხოლოდ ეს არის სხვაობა ჩვენსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში მიმდინარე ამბებს შორის. სხვა განსხვავება არ არსებობს. თქვენთან არის ინტერფრონტი, ჩვენთან არიან ოსი ექსტრემისტები, რომელთაც ცენტრი ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად იყენებს. აი, ის ძირითადი, რისი თქმაც შეიძლება.

— ბატონო ზვიად, საზოგადოებრიობამ დიდი კმაყოფილებით წაიკითხა თქვენი მიმართვა ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა პრესაში. რა ურთიერთობებს ამყარებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მეზობელ ხალხებთან და რესპუბლიკებთან?

— ჩვენ გვაქვს ურთიერთობა სომხეთისა და აზერბაიჯანის პარლამენტარებთან, აგრეთვე ჩეჩენ-ინგუშეთის წარმომადგენლებთან, და ვცდილობთ, რომ ყველგან კეთილი ურთიერთგაგება გვქონდეს, არსად არ აღმოცენდეს კონფლიქტი. ოსებთან კონფლიქტი, ჩვენი ბრალი არ არის. ეს ცენტრის ინსპირირებულია, ცენტრმა მოაწყო, ასე რომ, აქ არიან გარკვეული წრეები ექსტრემისტებისა, რომლებსაც იყენებს მოსკოვი. საკმარისია ითქვას: ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჩოჩიევი მოსკოვის სუკის პოლკოვნიკია და ყულუმბეგოვიც კრიუჩკოვის თანამშრომელია, მოსკოვის უშიშროების თანამშრომელია, რაც იმით დასტურდება, რომ შინაგანმა ჯარებმა საიდუმლო შიფროგრამა მიიღეს მოსკოვიდან, რომლითაც პირდაპირ უბრძანებენ შინაგან ჯარებს, გაანთავისუფლეთ ყულუმბეგოვი, რა საშუალებებითაც გსურთ, და წამოიყვანეთ მოსკოვშიო. ე. ი. ჯარს უბრძანებენ. ასე რომ ეთნიკურ კონფლიქტს იწვევენ მოსკოვის აგენტები. საბედნიეროდ, ასეთი „ეთნიკური კონფლიქტები" არა გვაქვს ჩვენ არც ჩეჩნებთან და არც ინგუშებთან. მათთან კეთილი ურთიერთობა გვაქვს. სხვათა შორის, აფხაზები რომ ცდილობენ ჩრდილო კავკასიის ხალხების გაერთიანებას ჩვენს წინააღმდეგ, ეს არ გამოუვათ, რადგან ჩეჩნები და ინგუშები ამას არ დაუშვებენ. ჩაიშლება აფხაზების ის ცდაც, რომ ე. წ. მთის რესპუბლიკა შექმნან ცენტრით სოხუმში. ესეც ჩაიშლება ჩეჩენი და ინგუში ხალხის ძალისხმევის შედეგად.

— ჟურნალი „სოვეტსკი ვოინ": ბატონო თავმჯდომარევ, ოფიციალურად თუ აღგიძრავთ საქართველოს ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ოფიციალური სტატუსის საკითხი. თუ აღგიძრავთ, როგორი იყო ცენტრის რეაქცია, და თუ არა, რას აპირებთ ამასთან დაკავშირებით?

— სამწუხაროდ, ჯერ ეს საკითხი არ აღძრულა. საქმე ის არის, რომ ამას საგანგებო მომზადება უნდა და საქართველოში მიმდინარე მოვლენები ამის საშუალებას არ იძლევა. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკითხი გაირკვევა საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით.

ზვიად ქორიძე, გაზეთი „7 დღე": არჩევნებში გამარჯვებისას გამართულ ორსავე პრესკონფერენციაზე თქვენ აღნიშნავდით, რომ ერთ-ერთ პირველ სხდომაზე უზენაესი საბჭო განიხილავს და კოოპტაციის წესით თავის რიგებში შეიყვანს იმათ, ვინც, ვერ გახდა დეპუტატი და რომელთა ყოფნაც პარლამენტში საერთო საქმეს წაადგება. მას მერე ეს საკითხი საერთოდ არც დასმულა უზენაეს საბჭოში. რა იყო თქვენი ამ განცხადების საბაბი, და თუ დღესაც ამ აზრისა ბრძანდებით, რა უშლის ხელს მის შესრულებას?

— იცით რა, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ საარჩევნო კანონის შემუშავების დროს ეს ვერ გავითვალისწინეთ. ამიტომ ეს იურიდიულად შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ საარჩევნო კანონში ეს არ არის, თორემ, ეს ჩვენც გვსურდა. თქვენ მოგეხსენებათ, რა პირობებში ვადგენდით საარჩევნო კანონს. იყო ფაქტობრივად ომი, გაფიცვები, შიმშილობანი. ძალიან დაძაბული ვითარება იყო. ჰოდა, ეს ნიუანსი გამოგვრჩა.

— თუ შეიძლება, მეორე შეკითხვაც, რომელიც უკავშირდება პრეფექტთა ინსტიტუტის შემოღებას. ამ ინსტიტუტის შემოღებამ გაამწვავა სიტუაცია გარკვეულ რაიონებში, და აფხაზეთშიც, გალის რაიონშიც. გარდა ამისა, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ არძინბამ შეაჩერა საკრებულოების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი. ლიბერალური ოპოზიციის ნაწილიც წინააღმდეგია საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობისა. მაინტერესებს, პრეფექტთა ინსტიტუტი ხომ არ შეუშლის ხელს საკრებულოების არჩევნებს საქართველოში.

— ვინც ამბობს, პრეფექტის ინსტიტუტი დემოკრატიული არ არისო, უმეცარია. ეს ელემენტარული უმეცრობაა, მათ არ იციან, რომ ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და იტალია, მოქმედებს პრეფექტის ინსტიტუტი, და უფრო მეტიც. იტალიელი ჟურნალისტები, რომლებიც ამას წინათ იყვნენ საქართველოში, განცვიფრდნენ — როგორ აძლევთ უფლებას, რომ დემონსტრაციები მოაწყონ პრეფექტებთან დაკავშირებით, ჩვენში ასეთი რამ წარმოუდგენელიაო. გაოცებულნი იყვნენ, რა დემოკრატია ყოფილაო თქვენთან, რომ პრეფექტის თაობაზე შეიძლება დემონსტრაციის მოწყობა და მოსახლეობის სურვილის გათვალისწინება. ჩვენ თითქმის ყველა შემთხვევაში ვითვალისწინებთ მოსახლეობის სურვილს, ხდება გამოკითხვა მოსახლეობისა და ისე ინიშნება პრეფექტი. ე. ი. ეს ფაქტობრივად არჩეული პიროვნებაა. რაც შეეხება პრეფექტებთან დაკავშირებულ წინააღმდეგობას, ეს ე. წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „მხედრიონის" ბანდებმა მოაწყვეს, ეს იყო ობსტრუქცია, რომელსაც ხალხმა მხარი არ დაუჭირა.

ინგლისელი კორესპონდენტი: არსებობს თუ არა საფრთხე ცენტრის მხრივ პირდაპირი ზეგავლენისა, პრეზიდენტის მმართველობის შემოღებისა.

— რასაკვირველია, არსებობს საფრთხე მოსკოვის მხრივ, არსებობს დიდი ზეგავლენა სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით, და აი, სწორედ ამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტით მოსკოვი ემზადება საიმისოდ, რომ მოახდინოს ინტერვენცია მთელს საქართველოში, შემოიღოს მთელ საქართველოში პრეზიდენტის მმართველობა და საგანგებო მდგომარეობა. თანაც ცენტრს უნდა ეს თანდათანობით განახორციელოს, ამის გაკეთება ერთბაშად არ შეუძლია. არის ცნობა, რომ დღეს აფხაზეთში შემოიყვანეს სადესანტო ჯარი, 400-მდე კაცი. ესეც, რასაკვირველია, ძალიან ავისმომასწავებელი ნიშანია. დესანტი, კერძოდ, ბაბუშერაში შემოიყვანეს. ვითომდა, რომელიღაც აგარაკის გარემონტებას აპირებენ. მაგრამ მედესანტე ჯარის მიერ აგარაკის გარემონტება, ცოტა არ იყოს, საეჭვოა, ე. ი. რაღაც სხვა მიზნებს ისახავენ.

ინგლისელი ჟურნალისტი: დააპატიმრებთ თუ არა გიორგი ჭანტურიას?

— რაც შეეხება გია ჭანტურიას, მისი მოქმედება პოლიტიკოსის მოქმედებას აღარ ჰგავს. იგი დაუკავშირდა მხედრიონის ბანდებს, მისი პარტია თავით ფეხამდე შეიარაღებულია, სჩადის სისხლის სამართლის დანაშაულს. მისი წევრები დაპატიმრებული არიან ქურდობისთვის, ყაჩაღობისთვის, მანქანების მოტაცებისთვის. სულ უფრო და უფრო ჭირს დადგენა ზღვარისა მისი პარტიის წევრებსა და მხედრიონს შორის. ასე რომ, ჩვენ ასეთ პიროვნებებს პოლიტიკური მოღვაწეების წოდებას ვეღარ მივანიჭებთ. რაც შეეხება დაპატიმრებას, ნებისმიერი პიროვნება აგებს პასუხს, თუნდაც მე. სისხლის სამართლის დანაშაული რომ ჩავიდინო, კანონით უნდა დავისაჯო. არ შეიძლება ადამიანს აპატიო სისხლის სამართლის დანაშაული იმის გამო, რომ იგი რომელიმე პარტიის ლიდერია. ეს აბსურდია, მეგობრებო. გამოდის, რომ პოლიტიკით ნიღბავენ კონკრეტულ დანაშაულობებს. ვისაც რაიმე კონკრეტული დანაშაული დაუმტკიცდება, მას ვერავითარი პარტია ვერ იხსნის პასუხისმგებლობისგან.

— წინა ხუთშაბათს მიცემულ ინტერვიუში, თქვენ განაცხადეთ, რომ აფხაზეთის პარლამენტს შეუთანხმებდით პრეფექტის დანიშვნის საკითხს. როგორც ცენტრალური პრესიდან შევიტყვე, გალის რაიონში რაღაც მომხდარა. როგორ განმარტავდით ამ მოვლენებს.

— თუ აფხაზეთი არ წარმოგვიდგენს წინადადებებს პრეფექტის შესახებ, მაშინ ჩვენ ვნიშნავთ. სამწუხაროდ, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე არძინბა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პრეზიდიუმის წევრია, საერთოდ არ გამოგვეხმაურა და თბილისშიც არ ჩამოვიდა. სწორედ ამიტომ იძულებული გავხდით თვითონ დაგვენიშნა პრეფექტი. ეს კანონის მიხედვით მოხდა. კანონის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს პრეფექტის კანდიდატურის დასახელების უფლება, მაგრამ თუ ეს არ მოხდება, პრეფექტს ჩვენ ვნიშნავთ. ასე რომ, აქ სალაპარაკო ბევრი არაფერია.

— ის, რომ სამხრეთ ოსეთში გამორთულია ელექტროენერგია, მე მიმაჩნია ადამიანთა უფლებების ხელყოფად. თქვენ, როგორც მთელ მსოფლიოში ცნობილი მებრძოლი ადამიანთა უფლებების დასაცავად, როგორ განმარტავდით ამ მოვლენას.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ჰელსინკის პროცესი კრძალავს გაფიცვებს? გაფიცვა გამოაცხადეს ენერგეტიკოსებმა, ჩვენ არ გვაქვს მათი დაპატიმრების უფლება, რადგან გაფიცვის უფლება ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებას აქვს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ცხინვალში ქარხნები ექსტრემისტებს იარაღს უმზადებენ. ენერგეტიკოსებმა, რაკი იქ შესვლა არ შეუძლიათ, მთლიანად გამორთეს ელექტროენერგია ქალაქში. მეტიც, რომ მოხერხდეს იქ ელექტროენერგიის ჩართვა, მოსახლეობა იმდენადაა აღშფოთებული, თვითონ გამორთავს მას. უნდა შეწყდეს ოსების მხრივ ტერორიზმი, ბანდიტური გამოხდომები, და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.

ვახტანგ ბახტაძე, საქართველოს საინფორმაციო კორპორაცია „მაცნე": ამერიკის შეერთებული შტატების რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ" და გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნეს ინფორმაცია, რომ მოეწყო საქართველოს ხელისუფალთა პირველი ოფიციალური ვიზიტი შეერთებულ შტატებში. ჩვენ ძალზე მწირი ინფორმაცია გვაქვს ამის თაობაზე. თუ გვეტყვით რაიმე ახალს ამის შესახებ?

— ჯერჯერობით ახალი არაფერია, გარდა იმისა, რომ ჩვენი წარმომადგენლები რამდენიმე კონგრესმენს შეხვდნენ და, ალბათ, იქნება შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტ დენ-კუელთან. ძალზე რთული დროა ვიზიტისთვის სპარსეთის ყურის ამბების გამო და მოხერხდება თუ არა შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტთან არ ვიცით.

ვიქტორ ვარანიუკი, გაზეთი „ლენინსკოე ზნამია": გვაინტერესებს თქვენი დამოკიდებულება ამიერკავკასიის ოლქის ჯარების ხელმძღვანელობასთან, და კიდევ: რით აიხსნება სამხედრო მოსამსახურეებისთვის მიწისა და ბინის გამოყოფის შეჩერება?

— საქმე ის არის, რომ ჩვენ კონფრონტაციის წინააღმდეგნი ვართ. ჩვენც იგივე პოზიცია გვიჭირავს, რაც ბალტიისპირეთის ქვეყნებს. ჩვენი აზრით, საბჭოთა ჯარი საოკუპაციო ჯარია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ყველას მტრებად ვაცხადებთ. არა, ჩვენ ყოველგვარი დაპირისპირებისა და ძალადობის წინააღმდეგნი ვართ, ვცდილობთ ჩვენი მხრივ არ გავამწვავოთ სიტუაცია. ჩვენ ვიცით, რომ ცხინვალში განლაგებული ჯარის სამხედრო შენაერთები, სადაც ბევრი ოსი ოფიცერი მსახურობს, უშუალოდ ებრძვიან ქართველ მოსახლეობას, ოს ექსტრემისტებს იარაღით, რაკეტებითაც კი ამარაგებენ, ჩვენ რამდენჯერმე გავაფრთხილეთ ამის გამო ოლქის სარდლობა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. საერთოდ, თქვენივე წესდებით, თქვენი ჯარი უნდა დაემორჩილოს არა მხოლოდ ცენტრს, არამედ ჩვენს ხელისუფლებასაც. ასე რომ, თუ ურთიერთობა მოწესრიგდება, ვფიქრობ, გამოკეთდება მდგომარეობა. ჯარის გასვლის საკითხი კი საერთაშორისო სამართალმა უნდა გადაწყვიტოს, როგორც ვთქვი.

პაატა ცინცაძე, საქინფორმი: ახლახანს შეიქმნა ეროვნული გვარდიის შენაერთები. მონაწილეობენ თუ არა ისინი შიდა ქართლში და სამაჩაბლოში მიმდინარე ოპერაციებში ჩვენს მილიციასთან ერთად?

— ჯერჯერობით იმდენი არ არიან, რომ მონაწილეობა მიიღონ ამ ოპერაციებში.

— მოსახლეობაში გამოკვეთილია აზრი, რომ დღევანდელი სიტუაცია ძალზე ჰგავს 1921 წლის სიტუაციას. თქვენეული შეფასება?

— ნამდვილად წააგავს ოცდაერთი წლის წინა პერიოდის სიტუაციას, რადგან მაშინაც და ახლაც იმპერია გვიწყობდა და გვიწყობს პროვოკაციებს. კიდევ იმით წააგავს, რომ იმპერია ცდილობდა დასაყრდენი ენახა თვით საქართველოში, ბოლშევიკური რუსეთი ცდილობდა მოღალატე ქართველი ბოლშევიკების ხელით დაემხო არსებული ხელისუფლება. ახლაც იგივე მეორდება. დღეს ცენტრი ეყრდნობა მხედრიონს, კონგრესს. ეს შევარდნაძისა და მგელაძის დღევანდელი მოღვაწეობის შედეგია. მოსკოვში შექმნილი მათი „რევკომი" წარმართავს მოღალატე ქართველთა საქმიანობას.

— რას ეტყოდით საქართველოს არაქართველ მოსახლეობას. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელი იქნება თუ არა ისე წარვმართოთ ჩვენი მოქმედება, რომ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანული ნაწილი გახდეს?

— ჩვენი მიზანია საქართველოს მოსახლეობის, როგორც ქართველის, ისე არაქართველის კონსოლიდაცია, საქართველოში მათი უფლებები არასოდეს დარღვეულა და ასე იქნება შემდგომაც, მაგრამ თუ ისინი დაარღვევენ კანონს, მიწების უკანონოდ მიტაცება იქნება თუ სხვა რამ, ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ, ჩვენი მტრები კი საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებენ, თითქოს საქართველოდან მათი გასახლება გვინდოდეს და სხვა. ეს ჭორია, ეს სიცრუეა, ეს კარგად უწყიან არაქართველებმა, ამიტომაც არ არის მათი მხრივ კონფრონტაცია, რასაკვირველია, თუ კრემლი არ ჩაერია ამ საქმეში თავისი აგენტურით. მე მინდა მოვუწოდო არაქართველ მოსახლეობას: ვიცხოვროთ მეგობრულად, მშვიდობიანად, ჩვენ არასოდეს არ დავარღვევთ თქვენს უფლებებს, ოღონდ ნურც თქვენ ეცდებით დაარღვიოთ საქართველოს რესპუბლიკის კანონები, მაშინ ჩვენს შორის მშვიდობა და კეთილი დამოკიდებულება იქნება. ეს არის ჩვენი პოზიცია და პრინციპი.

ზაზა გომართელი, „საქართველოს რესპუბლიკა": სულ რამდენიმე დღეა რაც გადადგნენ საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ლიდერები, მათ ახსნეს თავიანთი მოქმედება, მაგრამ ხომ არ არის რამე სარჩული? თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამის ახსნა?

— მე მგონია, მათ დაინახეს, თუ რა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ქართველმა ერმა ისინი მოღალატეებად გამოაცხადა, ისინი კი თავმოყვარე ადამიანები არიან. მე ვიტყოდი, ისინი უფრთხილდებიან თავიანთ ავტორიტეტს და თავიანთ რენომეს. მარგიანი არ არის ისეთი პიროვნება, რომ ითმინოს შეურაცხყოფა სისტემატურად, არ ემება სამშობლოს მოღალატის როლი. პირდაპირ დასტურდება, რომ ეს პარტია უცხო ქვეყნის დოტაციით არსებობს, ცენტრიდან ფინანსდება. ამ დოტაციას იუდას 30 ვერცხლი უწოდეს ამასწინათ, და არ მოისურვა ამ კაცმა, რომ იუდას სახელი დაიმკვიდროს, ან ამტკიცოს, ჩვენ ეროვნული პარტია ვართო, ერის ინტერესებისთვის ვიბრძვითო და სხვა. ამ დროს კი გაწამოს უზენაესი საბჭო და არ გადასცეს თავისი შენობა მინისტრთა საბჭოს იმ დროს, როცა კომისიებს არ ჰყოფნით სამუშაო ოთახები და ფაქტობრივად ჩაშლილია ამ მიზეზით მუშაობა. აი, ეს დაინახეს მათ. ასე შეიძლება ამის ახსნა.

22 თებერვალი, 1991 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ჟ. დ. საყვარელიძის ზესტაფონის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ჟანი დიმიტრის ძე საყვარელიძე ზესტაფონის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

მ. გ. ხუციშვილის ლაგოდეხის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს მალხაზ გიორგის ძე ხუციშვილი ლაგოდეხის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ა. ფ. კვაჭაძის ადიგენის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს არჩილ ფელიქსის ძე კვაჭაძე ადიგენის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ნ. ი. ცერცვაძის ბაღდათის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ნუგზარ ივანეს ძე ცერცვაძე ბაღდათის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ვ. მ. გაბელიას ჩხოროწყუს რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ვალერი მიხეილის ძე გაბელია ჩხოროწყუს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ც. ს. გულედანის მესტიის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ციალა სამსონის ასული გულედანი მესტიის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ვ. ს. დათაშვილის ასპინძის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ვახტანგ სიმონის ძე დათაშვილი ასპინძის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

ნ. ა. პატაშურის წითელწყაროს რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ნოდარ ალექსანდრეს ძე პატაშური წითელწყაროს რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

მ. შ. კუხალაშვილის ხონის რაიონის პრეფექტად
დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს მერაბ შოთას ძე კუხალაშვილი ხონის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

შ. ი. დარჩიაშვილის სიღნაღის რაიონის
პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს შანშე იაფეტის ძე დარჩიაშვილი სიღნაღის რაიონის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 22 თებერვალი.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით გათავისუფლდნენ:

გ. ვ. ნონიკაშვილი — სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობათა შესრულებისაგან, გ. დ. ენდელაძე — ბაღდათის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ა. ქ. ინასარიძე — ადიგენის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, გ. ვ. თოდუა — ჩხოროწყუს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ტ. ვ. ხვისტანი — მესტიის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ლ. ვ. გველესიანი — ზესტაფონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მ. დ. ზურაბაშვილი — ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, გ. ი. წითლანაძე — ასპინძის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, ი. ა. ხოსროშვილი — წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მ. შ. ჩხენკელი — ხონის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქინფორმი.

ერის ინტერესების სადარაჯოზე

თბილისში გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების ოპერატიული თათბირი. მისი გახსნისას, შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა აღნიშნა, რომ გაიზარდა დამნაშავეობა რესპუბლიკაში, რომ საქართველოს მილიციამ უნდა იბრძოლოს და კიდეც იბრძოლებს ყოველგვარი სამართალდარღვევის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის ვითარების სტაბილიზაციას, ჩვენი ცხოვრების ნორმალიზაციას. ამ სიტყვების სისწორეში გვარწმუნებს „მხედრიონისაგან" იარაღის ამოღების ოპერაცია. მინისტრმა მადლობა გადაუხადა ამ ოპერაციის ყველა მონაწილეს.

შემდეგ, გამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე. მან დაწვრილებით გააცნო დამსწრეთ რესპუბლიკის ოპერატიული ვითარება — ყველგან შეინიშნება დამნაშავეობის აქამდე არნახული ზრდა. ყოველდღიურ მოვლენად იქცა ადამიანების დარბევა-დაწიოკება, მათი მოტაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით, ავტომობილების გატაცება. პრაქტიკულად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიქმნა დამნაშავეთა მობილური ჯგუფები, რომლებიც ტერორით აშინებენ ადგილობრივ მოსახლეობას.

სამწუხაროდ, რაღაც ეტაპზე მილიციის მუშაკები დაიბნენ, თითქოს ხელიც კი ჩაიქნიეს — დაასუსტეს ბრძოლა ხულიგნობის, ნარკომანიის, წინააღმდეგ. აღარ ეწეოდნენ პროფილაქტიკურ მუშაობას. ამან, შედეგად მოგვიტანა წინა წელს რეგისტრირებული 11678 დანაშაული, რაც მესამედით აღემატება 1989 წლის მაჩვენებელს. თითქმის ამდენადვე გაიზარდა მძიმე დანაშაულობანი. ეს ეხება მკვლელობებს, რომელთაგან ყოველი მესამე ხდება ყოფით ნიადაგზე, ოჯახური კონფლიქტების გამო. ამიტომ ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ უბნის ინსპექტორებს.

უკიდურესად გაუარესდა ოპერატიული ვითარება ზუგდიდში, ქუთაისში, თბილისში, ფოთში, რუსთავში, სამტრედიის, გორის, ხაშურის რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ქალაქებში. მარტო იანვარში, უკვე რეგისტრირებულია 1106 დანაშაული. ეს 54,5 პროცენტით მეტია, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში.

ყველგან გახშირდა ხულიგნობის შემთხვევები. ამავე დროს, ახალციხის, ახმეტის, ქარელის, მარტვილის, ზესტაფონის, ცაგერის, ჩოხატაურის, ყვარლის რაიონებში, გასულ წელს რეგისტრირებულია მხოლოდ თითო-ოროლა ასეთი ფაქტი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შინაგან საქმეთა ბევრ რაიონულ განყოფილებას, საჭიროდ არ მიაჩნია სერიოზული ყურადღება მიაპყროს, მათი აზრით, ესოდენ „წვრილმან" სამართალდარღვევებს. გარდა ამისა, არ მცირდება ბინის ქურდობის რაოდენობა — გასულ წელს რესპუბლიკაში რეგისტრირებულია დაახლოებით ორი ათას ხუთასი ასეთი დანაშაული.

ნამდვილი ბუმი წარმოიშვა გამოსასყიდის მიღების მიზნით ავტომობილების გატაცების ნიადაგზე. მაგრამ ამასწინათ, მიღებული კანონი, რომელმაც გაამკაცრა ასეთი დანაშაულისათვის სასჯელის ზომა, იმედის საფუძველს გვაძლევს, რომ შევძლებთ „გატაცების" ტალღის შენელებას.

თათბირზე გამოვიდნენ შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები. გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა მტკიცე მოქმედება, მთელი ძალების გაერთიანება დამნაშავე ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად. წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვნად შეამცირებს სამართალდარღვევათა დონეს.

დასასრულ, თათბირის მონაწილეთა კითხვებს საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებმა უპასუხეს.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა

გრძელდება უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ხელში არსებული იარაღისა და გატაცებული ტექნიკის ჩამორთმევა.

21 თებერვალს ზუგდიდში დააკავეს „მხედრიონის" წევრი, უმუშევარი რეზო აფაქიძე, რომელსაც ჩამოერთვა ორლულიანი სანადირო თოფი გამართული ვაზნით.

20 თებერვალს შინაგან საქმეთა თელავის რაიონული განყოფილების მუშაკებმა დააკავეს უმუშევარი ედიშერ ჩალათაშვილი, რომელმაც „მხედრიონის" 6 წევრთან ერთად 18 თებერვალს თელავის გასამხედროებული სეტყვის საწინააღმდეგო ბრძოლის სამსახურის შენობიდან გაიტაცა 2 ცალი „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი, 2 კარაბინი და 10 სანადირო თოფი.

ხორციელდება ღონისძიებები თანამონაწილეთა დასაკავებლად და იარაღის ჩამოსართმევად.

21 თებერვალს მილიციამ სოფელ კონდოლის ტერიტორიაზე განლაგებული „მხედრიონის" შტაბბინიდან ამოიღო გატაცებული ავტომანქანები. მათ შორის ტრესტ „ალაზანმშენის", ყვარლის „კოლმშენის", ახმეტის საექსპლოატაციო უბნის კუთვნილი „ვაზ-2121" მარკის ავტომანქანები, გურჯაანის მოძრავი მექანიზებული კოლონის კუთვნილი „რაფი", თელავის არმიისა და ფლოტის ხელშემწყობი საზოგადოების კუთვნილი ზილ-131 მარკის სატვირთო ავტომანქანა, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კუთვნილი ჯავშანტრანსპორტიორი და ზილ-130 მარკის სატვირთო ავტომანქანა.

ისიც უნდა ითქვას, რომ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებათა ბევრი წევრი ნებაყოფლობით აბარებს იარაღს. უკვე გაუწყეთ „მხედრიონის" ზუგდიდის ორგანიზაციის თვითლიკვიდაცია.

24 თებერვალს კი თვითლიკვიდაცია მოახდინა „მხედრიონის" გორის ორგანიზაციამ. მისმა წევრებმა — გორის კომერციული მაღაზიის გამგემ რობერტ გოდერძიშვილმა, საკოლმეურნეო ბაზრის კონტროლიორმა გურამ სვანიძემ და დროებით უმუშევარმა, ადრე ნასამართლევმა გენადი ტლაშაძემ მილიციას ნებაყოფლობით ჩააბარეს უცხოური შაშხანა, რევოლვერი, მცირეკალიბრიანი შაშხანა და გადაჭრილი სანადირო თოფი 30 ვაზნით.

21 თებერვალს დმანისის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში გამოცხადნენ „მხედრიონის" წევრები: დმანისის სამეურნეო მაღაზიის გამყიდველი ჩეფსან ოთხვანი და უმუშევარი იოსებ გირგვლიანი, რომლებმაც ჩააბარეს სამი სანადირო თოფი.

21 თებერვალს თელავის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში მივიდა სოფელ კონდოლის მცხოვრები ნოდარ ბახსოლიანი და ჩააბარა „ტტ"-ს სისტემის პისტოლეტი ორი მჭიდით, რომელიც მისმა ვაჟმა ზაზა ბახსოლიანმა გაიტაცა თელავის სეტყვის საწინააღმდეგო ბრძოლის სამსახურის შენობიდან მიმდინარე წლის 18 თებერვალს.

(საქინფორმი).

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, უკანასკნელ დღეებში სამაჩაბლოში ძალიან დაიძაბა ვითარება. ოსი ექსტრემისტები ახორციელებდნენ ფართომასშტაბიან შეიარაღებულ თავდასხმებს მშვიდობიან ქართულ მოსახლეობაზე, საქართველოს მილიციის მუშაკებსა და სსრ კავშირის შინაგანი ჯარების ნაწილებზეც კი. არის მსხვერპლი.

24 თებერვლის საღამოს 6 საათიდან 25 თებერვლის დილის 6 საათამდე ცხინვალის სასაფლაოსა და ქალაქის საცხოვრებელი კვარტალების მხრიდან ყველა სახის ცეცხლსასროლი იარაღით ესროდნენ საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბს. ცხინვალში დაწვეს ერთი საცხოვრებელი სახლი.

24 თებერვალს დღისით ქალაქ თბილისის სამგორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების მუშაკებს მილიციის კაპიტანს ნოდარ კურტანიძეს, ლეიტენანტ მერაბ არსენიძეს, ზემდეგ გოჩა გოლორდავას და რიგით ლერი ხვისტანს, რომლებიც მიდიოდნენ ზნაურის რაიონის სოფელ ავნევში, სოფელ მუზაურთან თავს დაესხა ექსტრემისტების დიდი ჯგუფი. მათ შეძლეს მილიციის მუშაკების დატყვევება. მძევლად აყვანილი ქართველი ეროვნების რვა სამოქალაქო პირთან ერთად ისინი წაიყვანეს სოფელ ძარში. ოსმა ექსტრემისტებმა მძევლად აყვანილ ცხინვალელ გიორგი სიმონიშვილს წინადადება მისცეს, საკუთარი თავისა და ასევე მძევლად აყვანილი მისი მეგობრის გამოსასყიდად მიეტანა 60 ათასი მანეთი. ამ პირობით გაშვებულმა გიორგი სიმონიშვილმა მომხდარი ამბავი შეატყობინა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებით შტაბს.

სოფელ ძარში სასწრაფოდ გაიგზავნა საქართველოს მილიციისა და შინაგანი ჯარის ნაწილი, რომლებმაც გამოიხსნეს მძევლად აყვანილი მოქალაქენი და მილიციის თანამშრომლები. ყველანი ნაცემები იყვნენ. ერთ-ერთი მათგანი საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაშია მოთავსებული.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ზნაურის რაიონის სოფელ ქალეთიდან 23 თებერვალს მძევლად წაყვანილი ხუთი ქართველი მოქალაქის ადგილსამყოფლის დადგენა და გამოხსნა.

როგორც ვიუწყებოდით, 24 თებერვალს ოსი ექსტრემისტები თავს დაესხნენ ზნაურის რაიონის სოფელ ავნევს. დაიღუპა 6 და მძიმედ დაიჭრა 10 ქართველი ეროვნების მოქალაქე.

24 თებერვალს ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვში საქართველოს მილიციის თანამშრომლებმა შეამოწმეს ჩრდილოეთ ოსეთიდან მომავალი ავტოკოლონა, ერთ-ერთ ავტომანქანაში აღმოჩნდა კარაბინის 300 ტყვია და თოფი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო,
(საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისამართი

ბაზალეთის ომის მედროშენი

„მტრადქცეული მოყვარე უფრო სახიფათოა, ვიდრე ოდითგან მოძულებული მტერი".

კონსტანტინე გამსახურდია

მას აქეთ, რაც ქართველმა ერმა 28 ოქტომბრისა და 14 ნოემბრის არჩევნებში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, რის შედეგადაც სასტიკად დაამარცხა „ახალ ბაბილონს" დაქვემდებარებული მარიონეტოკრატია და თითქმის 70-წლიანი კომუნისტური მძლავრობის შემდეგ ძლივს ეღირსა ჭეშმარიტად ეროვნულ მთავრობას, ყვავ-ყორნებივით წამოიშალნენ ნაირი ჯურის და ჯილაგის მტრები და „მტრადქცეული მოყვარენი", რომელთაც საქართველოს სამუდამოდ დასამარება გადაუწყვეტიათ. ქართველებზე განრისხებულმა ცრუპენტელა პრეზიდენტმა, პირდაპირი გამოლაშქრება ვერ გაბედა და ქართულ მიწას დახარბებული, გათავხედებული სტუმართა ურდოები აუფოფრა თავისუფლების გზაზე დამდგარ რესპუბლიკას. მაგრამ, განა გასაკვირია მტერი — რუსი ან მტერი — ოსი, როდესაც შენივე სისხლხორცი განგდგომია და სულმოკლე მისწრაფებებს აყოლილი ყოველნაირად ცდილობს შენს განადგურებას. ბნელ ღამეში ჩასაფრებული ნადირივით ელოდება შენს წაბორძიკებას, რათა ვერაგულად დაგაცხრეს თავს და უმოწყალოდ გაგგლიჯოს მისივე მოძმე.

რა ხერხს აღარ მიმართავენ ჩვენი ვაიოპოზიციის წარმომადგენლები (რომელნიც, ვერც კი ჩასწვდომიან ჭეშმარიტი ოპოზიციის არსს, რომელიც მხოლოდ ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს და არა პირად მიზნებს და კერძო მისწრაფებებს), რომ როგორმე დააძაბუნონ ქართველი ხალხის არჩეული ეროვნული მთავრობა, რომელსაც ამჟამად ყველაზე მეტად ესაჭიროება მოყვასის მხარდაჭერა და თანადგომა. მისი არსებობის პირველივე დღეებში, ცოფშეყრილი მგლების ხროვასავით ეტაკა ახალგაზრდა ხელისუფლებას ეგრეთ წოდებული ეროვნული კონგრესი (რომლის შექმნაც ჩვენი განზომილების დროში და სივრცეში ფაქტიურად არ დაფიქსირებულა) და მასთან დაკავშირებული ყაჩაღთა საკრებულო, რომელიც „მხედრიონის" სახელს ატარებს და სხვადასხვა პროვოკაციული მოთხოვნები წაუყენა მას. რა თქმა უნდა, ასეთ ქმედობას საქართველოს ისტორია შეაფასებს როგორც მტრის შენიღბულ დივერსიას, მიმართულს ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული მოძრაობის განმასახიერებელი მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ ერთი კითხვა გებადება კაცს უნებურად: რა პასუხს აძლევენ ამ ვითომ ოპოზიციური ორგანიზაციების და პარტიების ლიდერები (ისეთები, როგორიც არიან ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, ჯაბა იოსელიანი, გია ჭანტურია და სხვა მათი მსგავსნი) თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს, რომელთაც მოუწევთ პირუთვნელად განსაჯონ მამა-პაპათა ნამოქმედარი, ან იმ ადამიანებს, რომელთაც მათი სჯერათ და მათგანვე წაქეზებულნი მშობელი ერის წინააღმდეგ ამხედრებულან ახალი ბაზალეთის გასაჩაღებლად?!

დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ მოხსენებულ პიროვნებათაგან ბატ. ირაკლი ბათიაშვილის ბოლოჟამინდელი გააქტიურება იწვევს ძალუმ გაკვირვებას. მან ერთ-ერთ თავშეყრაზე (თუ არ ვცდები ტელევიზიითაც) განაცხადა, რომ ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და თავისი პროფესიით სურს განაგრძოს საქართველოს კეთილდღეობისთვის ზრუნვა, სწორედ ამ მიზეზით დასტოვა ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის რიგები, სიტყვის გატეხვა კი ქართველ ვაჟკაცს ნამდვილად არ ეკადრება!

ჰეროსტრატემ არტემიდა ეფესელის დიდებული ტაძარი გადაწვა, რათა კაცობრიობას მისი უგვანო სახელი აღებეჭდა ჟამთაღრიცხვის ფურცლებზე; ჩვენი „ჰეროსტრატენი" კი, რუდუნებით ნაგები თავისუფლების ტაძრის დანგრევას გვიქადიან, რათა ბინძური ფეხებით შელაჯონ ქართველი ერის მრავალტანჯულ ისტორიაში და სამუდამო წყევლისათვის დაიმკვიდრონ იქ ადგილი. ამისათვის არანაირ ხერხს და ქმედებას არ ერიდებიან, დარწმუნდნენ რა, რომ თავისი უხამსი მოღვაწეობით ქართველი ერის წინაშე საბოლოოდ გაიტეხეს სახელი, საქართველოში მცხოვრები, მტრულად განწყობილი უცხო ერების წარმომადგენლებთან ცდილობენ დანაშაულებრივ დაკავშირებას და მათი მეშვეობით საკუთარი ხალხის დამარცხებას, არც ეს არის „უცხო ხილი" ქართული ჟამთაღრიცხვისთვის, საკმარისია გავიხსენოთ დაუდხანი და კონსტანტინე-მირზა, ციციანოვი და ორჯონიკიძე, და ბევრი მათი მინამსგავსი რენეგატი, რომელთაც პირადი განდიდებისათვის უცხოთა ლაშქარი აუმხედრებიათ მშობელი ერის წინააღმდეგ. დღესდღეობით ამის უტყუარი მაგალითია ე. წ. ეროვნულ კონგრესში შემავალი ერთ-ერთი წამყვანი ორგანიზაციის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობა, რომელსაც ეროვნული ინტერესების დამცველი ორგანოს პრეტენზია გააჩნია და რომელმაც თავისი ხელმძღვანელობის წყალობით ამ ბოლო ხანებში მეტად ინტერნაციონალური ელფერი შეიძინა.

შარშანდელი 16 ოქტომბრის გაზეთი „თბილისი" გვაუწყებს, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან შეიქმნა „ხალხთა ერთიანობის აზერბაიჯანული პარტია", რომელიც აერთიანებს ორ აზერბაიჯანულ ორგანიზაციას, „ჰეირათსა" და „ოზანს" და გამოდის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეგიდით. ეს ორგანიზაციები კი, როგორც ქართველ საზოგადოებრიობას მოეხსენება, მომტერე ელემენტებია ქართულ მიწა-წყალზე.

პირადად არაფერი მაქვს საწინააღმდეგო საქართველოში მცხოვრები ქართველებისადმი მეგობრულად განწყობილი სხვა ერის წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია, რომელი ქვეყნის ეროვნულ-დემოკრატიული იდეოლოგიის პრინციპებით ხელმძღვანელობს ზემოთ ხსენებული პარტია, როდესაც თავის გარშემო ქართველი ხალხისადმი მტრულად განწყობილ ინტერნაციონალურ დაჯგუფებებს ქმნის?! ერთი რამ კი ნათელია, თუ ასე გაგრძელდა (რის დიდ იმედსაც, შარშან 3 დეკემბერს აუგად სახსენებელ ეროვნულ კონგრესზე პარუირ აირიკიანის გამოსვლა იძლევა) მალე ამ ორგანიზაციაში ქართველები უმცირესობაში აღმოჩნდებიან. (!).

საქართველოს უახლესი ისტორიიდან ცნობილია, როდესაც „ბოლშევიკებმა" ქართველ მოსახლეობაში დასაყრდენი ვერ პოვეს, მოღალატური კავშირი შეკრეს საქართველოში მცხოვრები უცხო ერების მტრულად განწყობილ ნაწილთან, რომლებიც შემდგომ ქართველი ერის წინააღმდეგ გამოიყენეს თავიანთი ვერაგული მიზნების განსახორციელებლად; მსგავსი მეთოდებით მოქმედებს ამჟამად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის გამო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ უღალატა თავის უზენაეს პრინციპებს, ინტერნაციონალიზმის უტოპიურ გზას დაადგა და დღესდღეობით საქართველოში ასეთი პარტია არ არსებობს; მის ნიადაგზე ყალიბდება ინტერნაციონალური ბლოკი, რომელიც ყველა ერის ინტერესებს ემსახურება, ქართველი ერის გარდა.

ჩემი მოკრძალებული რჩევა ქართველი ეროვნულ-დემოკრატებისადმი ასეთია, სანამ მათ საბოლოოდ გაიინტერნაციონალებენ, ხომ არ აჯობებდა, რომ გადაესინჯათ და სახალხოდ განეხილათ თავიანთი საქმიანობა და ჭეშმარიტად ეროვნული კადრებით შეევსოთ თავიანთი რიგები?

რაც შეეხება 23 თებერვლისთვის დაგეგმილ აქციას, რომელიც უნდა წარიმართოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ეგიდით, საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გასვლის მოთხოვნით, ეს დესტრუქციული ძალების მორიგი პროვოკაციაა, მიმართული საქართველოში დესტაბილიზაციის გასაღრმავებლად. მსგავს მოქმედებას საბაბად გამოიყენებენ საქართველოს შეუნიღბავი მტრები და მას შეიძლება მეტად სავალალო შედეგები მოჰყვეს, რომელზეც პირადად აგებს პასუხს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე, ირაკლი წერეთელი.

14 თებერვალი

P.S. ამ წერილის გამოქვეყნებაზე თავს ვიკავებდი, რათა იგი ქართველებს შორის კონფრონტაციის გაღრმავების მცდელობად არ ჩამთვლოდა, მაგრამ საქართველოში მიმდინარე ბოლოჟამინდელი მოვლენების გამო და 23 თებერვალს ე. წ. ეროვნული კონგრესის მიერ ჩატარებული აქციის შემდგომ, როდესაც მათ არ იკმარეს საოკუპაციო ჯარებთან მეტად სახიფათო თამაში (ქართული სისხლის ფასად) და მთავრობის სასახლესთან გამართული პროვოკაციული მიტინგით, რომელზეც „მხედრიონის" ბანდის მეთაურის განთავისუფლებას მოითხოვდნენ, ძმა ძმის წინააღმდეგ აამხედრეს, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ სწორედ კონგრესში შემავალი პარტიის ლიდერები ესწრაფვიან კონფრონტაციის გავრცობას და განსაზოგადოებას ქართველობას შორის და ბაზალეთის სამარცხვინო ბაირაღაფრიალებულნი მიუძღვებიან ქართველი ერის მცირე მოტყუებულ ნაწილს ქართულივე სისხლის საქცევად.

ხოსო ჯაჯანიძე
23 თებერვალი

სხვადასხვა

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრის ინფორმაცია

საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბატონი ავთანდილ რცხილაძე განთავისუფლებულია თავმჯდომარის მოვალეობისაგან თელავის რაიონის პრეფექტად მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარედ დანიშნულია ჰელსინკის კავშირის წევრი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი ბატონი ვახტანგ ჭითავა.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პრესცენტრი

საზღვარგარეთ

ლიტვა: ტრაგედიიდან ერთი თვის შემდეგ

ვილნიუსში ჩამოსულ ადამიანს ქალაქი მშვიდი მოეჩვენება. გამართულად მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მაღაზიების დახლები მართალია ისე სავსე არ არის, როგორც „გარდაქმნამდე", მაგრამ საბჭოთა ქალაქების უმრავლესობისაგან განსხვავებით — მაინც ახარებენ თვალს ჩვენი დღეებისათვის უჩვეულო მრავალფეროვნებით.

გარეგნულად ქალაქში ყველაფერი ისეა, როგორც ჩვეულებრივ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აქ რამდენიმე დღეს იცხოვრებ, თანდათანობით დაინახავ იმ ღრმა და მძიმე კვალს, რომელიც დატოვეს ახლახან მომხდარმა ამბებმა არა მარტო „ცხელ" წერტილებთან — ვილნიუსის პარლამენტთან, სატელევიზიო ანძასთან, არამედ, ძირითადად, ადამიანის სულებში. ლიტველები თავშეკავებული ხალხია, მაგრამ ძნელია საკუთარ ნება-სურვილს დაუმორჩილო თვალები. სწორედ მათ თვალებში წაიკითხავ როგორც ქუჩაში, ისე მაღაზიაში, სახლებში — გულისტკივილს, მაგრამ თავისუფლებას მოწყურებული ადამიანის სიმტკიცეს.

უკვე ერთ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ სამკურნალო დაწესებულებებში დღემდე მოდიან ადამიანები სამედიცინო დახმარებისათვის, ლიტვის წითელი ჯვრის მონაცემებით, იანვრის დღეებში სამხედრო აქციათა შედეგად უშუალოდ დაზარალებულთა რიცხვმა 600 გადააჭარბა. ისინი, ვინც ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არიან, მოათავსეს ვილნიუსის № 1 საქალაქო კლინიკურ საავადმყოფოში.

ერთ მათგანს — ვილნიუსის უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტს არუნას რომანიავიჩიუსს შევხვდით ტრავმატოლოგიის განყოფილებაში. აი რა გვიამბო მან სისხლიანი კვირა დღის მოვლენებზე.

— იმ საღამოს სხვებთან ერთად ვმორიგეობდი ლიტვის უზენაესი საბჭოს შენობასთან. ღამის პირველი საათი ხდებოდა როცა გადავწყვიტე, შინ წავსულიყავი ველოსიპედით, რათა მევახშმა. როცა ჩავუარე ჩრდილოეთის ქალაქს, სადაც დისლოცირებულია სამხედრო ნაწილები, ვილნიუსში რომ ასრულებდნენ აქციას, შევხვდი მათ კოლონას, რომელიც ქალაქის ცენტრისაკენ მიემართებოდა. გადავწყვიტე, რომ მას გავყოლოდი, რადგან ვფიქრობდი, რომ იგი პარლამენტისაკენ მიემართებოდა. მაგრამ მათი დანიშნულების ადგილი გახდა სატელევიზიო ანძა. როცა მათთან ერთად იქ მივედი, დავინახე, რომ ანძასთან უკვე კიდევ სხვა ტანკები, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები მანევრირებდნენ, ისინი იქ მრავლად იყვნენ და ახალი კოლონის მისვლისთანავე სამხედროებმა გააჩაღეს სროლა. სატელევიზიო ანძასთან იმ მომენტში ბევრი ხალხი იყო. იდგა საბრძოლო ტექნიკის საშინელი ხმაური, გრუხუნი. იმის მიუხედავად, რომ უკვე გვიან, შუაღამე კარგახნის გადასული იყო, სახლების ფანჯრებში სინათლე აინთო და ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად მორბოდნენ ანძისაკენ. 10-15 წუთში მათი რიცხვი აქ 3-4-ჯერ გაიზარდა. დაახლოებით თხუთმეტ წუთში სამხედროებმა ტყის მხრიდან ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით გადმოსხეს დესანტი — 20 კაციანი მოიერიშე ჯგუფი, რომელიც ანძისაკენ მიიწევდა. მათ მიირბინეს ადამიანებთან 2-3 მეტრის მანძილზე და დაუშინეს ლითონის საგნები. ამას ხალხი არ შეუშინებია, რომლებიც იდგნენ მტკიცედ ხელიხელ ჩაკიდებულები. ამ დროს გამოჩნდა მეორე საიერიშო ჯგუფი, რომელმაც ადამიანებს დაუშინა ასაფეთქებელი პაკეტები. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაისმა აფეთქებების ხმა, ანძის ირგვლივ შემორტყმული რგოლი შესუსტდა და დესანტმა მოახერხა მისი გარღვევა. როცა მედესანტეთა ალყიდან ვცდილობდი თავის დაღწევას, ერთი მოიერიშე დაეცა, როგორც ჩანს, მე მას ხელი ვკარი. მან წაქცეულმა მესროლა. ორმა ტყვიამ თეძოს ძვალი ჩამიმსხვრია. მესროლეს ერთი მეტრი მანძილიდან და ტყვიებმა გამჭოლი ჭრილობები დატოვეს. მინდა ვთქვა, რომ არავითარი აგრესიული მოქმედება ამ დროის განმავლობაში სამხედროების მიმართ ადამიანებს არ მოუმოქმედებიათ. ისინი მხოლოდ ერთხმად გაიძახოდნენ „ლიტვა!" და „თავისუფლება!". სახეზე იფარებდნენ ხელს, რათა კონდახების დარტყმისაგან თავი დაეცვათ.

უკვე შემდეგ, ექიმებთან საუბრისას, გამოვარკვიე, რომ ტყვიებს, რომლებიც არუნასს მოხვდა, ჰქონდა გადაადგილებული სიმძიმის ცენტრი. ამას მიუთითებს დაგლეჯილი ქსოვილის და სხეულის შიგნით მისი მოძრაობის ტრაექტორიის მკვეთრი შეცვლა.

იუოზას ალავიზა, კუპის რაიონის კოლმეურნეობის მექანიკოსი (130 კილომეტრი ვილნიუსიდან) არუნასს პაპად ერგება — იგი 62 წლისაა. მაგრამ იმ ღამეს იგი ასევე იყო ქალაქის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დამცველთა შორის. ახლა, საავადმყოფოს სარეცელს მიჯაჭვული გვიამბობს ლიტვის ეროვნული ტელერადიოკომიტეტის შენობასთან მომხდარი ამბების შესახებ.

— ჩვენი რაიონიდან 500 კაცი ჩამოვიდა ვილნიუსში 15 ავტობუსით ქალაქის სხვადასხვა შენობის დასაცავად. მორიგეობა ჩავიბარე 24 საათიდან დილის 12 საათამდე. მახსოვს, რომ ტელერადიოკომიტეტთან ადამიანები მღეროდნენ და ცეკვავდნენ: ყველა — დიდი თუ პატარა, დაახლოებით 2 ათასი კაცი. საოცარი იყო ერთი რამ. მოვიდნენ მედესანტეები. მათ დაიწყეს ფუჭი ვაზნების სროლა, ესროდნენ ადამიანებს ასაფეთქებელ პაკეტებს. მაგრამ არაფერი არ გამოსდიოდათ. ხალხი არ იშლებოდა. მაშინ გამოიძახეს ყველაზე თავზეხელაღებულები — „შავი ბერეტები". ისინი გამოჩნდნენ სატვირთო მანქანებით. პირველივე ტყვიები მათ განათებას ესროლეს. უცებ ყველაფერი სიბნელემ მოიცვა. მაშინ მათ სროლა აუტეხეს ხალხს: ზემოთ და ქვემოთ, სადაც მოხვდებოდათ. მე დამჭრეს ფეხში, დამსხვრეული მაქვს ძვალი...

13 იანვრიდან წევს ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში 17 წლის ჩერნიუს მინდაუგასი. მის საავადმყოფო ფურცელში ერთი კვირა გამოტოვებულია: მრავალი დაჭრილის ნათესავებს, რომლებსაც ეშინოდათ საავადმყოფოებზე სამხედროთა თავდასხმის, ისინი შინ მიჰყავდათ, ასე მოიქცნენ ჩერნიუსის ახლობლებიც. როცა უშუალო საფრთხემ განვლო, იგი საავადმყოფოში დააბრუნეს.

ვილნიუსის დამცველთა რიგებში იმ სისხლიან კვირა დღეს მარტო ლიტველები როდი იდგნენ. ყველა ცხელ წერტილში მათთან ერთად იყვნენ მრავალი სხვა ეროვნების ადამიანებიც. ეს, სხვათა შორის, ოფიციალურად გამოაცხადეს ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ვილნიუსის საქალაქო საბჭოში ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის შესახებ მოსახლეობის გამოკითხვის წინ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან შეხვედრა მოაწყო ვილნიუსის ეროვნებათა საქმეების საბჭომ. მასში მონაწილეობდნენ ამ საბჭოში შემავალი რუსული, ქართული, პოლონური, სომხური, მოლდოვური და სხვა ეროვნული ფენების წარმომადგენლები. მაშინ ამ ორგანომ გამოთქვა ლიტვის სახელმწიფო აღორძინების იდეის სრული მხარდაჭერა და მოუწოდა თანამოქალაქეებს მხარი დაეჭირათ ლიტვის პარლამენტისათვის. სიმბოლური სიტყვები წარმოთქვა იმ საღამოს ვილნიუსში ქართული თემის ხელმძღვანელმა ჟურნალისტმა დალი გოგიშვილმა:

— ჩვენ არ გვაქვს ეროვნული შუღლი. ჩვენ ისევე გვსურს ლიტვის სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, როგორც თვით ლიტველებს. ქართველები, რომლებიც იმ ტრაგიკულ ღამეს იდგნენ პარლამენტის წინ, იცავდნენ როგორც ლიტვის, ისე საქართველოს თავისუფლებას...

ფაქტები ადასტურებენ: 150 დაჭრილის პირველად სიებში 15 პირი არალიტველი იყო. ისინი განუწყვეტლივ რეკავდნენ დაზარალებულთათვის დახმარების გამწევ ოპერატიულ შტაბში, სთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს, სახლებს, რათა როგორმე შეემსუბუქებინათ ადამიანთა ტანჯვა.

კი მაგრამ, ვინ აღვივებს თეზისს „ლიტვურ ნაციონალიზმზე". იგი ამავე საღამოს გააჟღერა რუსული თემის ხელმძღვანელმა ალფრედ ნაზაროვმა. .

აი იმის ერთი მაგალითი, თუ როგორ იქმნება „მტერი — ლიტველის სახე". სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისაგან არაერთგზის გვსმენია საყვედურები და პროტესტები ლიტვის ხელისუფალთა მისამართით პროდუქტების განაწილებაში მათი უფლებების შელახვის შესახებ. საზოგადოებრივი გამოძიების შედეგად ალფრედ ნაზაროვმა და მისმა მეგობრებმა დაადგინეს, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა განზრახ არ ავრცელებდა ადგილობრივი ორგანოებისაგან მიღებულ სასურსათო ბარათებს სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებში: იგი ასეთი გზით იწვევდა ადამიანების სამართლიან რისხვას, მიმართავდა მას ლიტვის ხელისუფალთა წინააღმდეგ. აი ვინ, მათ მიერვე შეთითხნილი ვერსიით, ავიწროებს სამხედროებს.

ერთი თვე გავიდა ვილნიუსის სისხლიანი კვირა დღიდან. დღეს უკვე ყველასათვის ნათელია: ლიტვაში მომხდარი ამბები ეს არ არის ეროვნებათშორისი წინააღმდეგობის შედეგი. წარმავალი ხელისუფალნი სისხლიანი კლანჭებით ებღაუჭებიან ნებისმიერ მაშველ ხავსს, კადრულობენ ყველაზე სულმდაბალ და უნამუსო საქციელს, ბოროტად იყენებენ ადამიანთა გრძნობებსა და სიძნელეებს. ნათელი გახდა სხვა რამეც: ასეთი გზით მდგომარეობას მაინც ვერ გამოასწორებენ.

პაატა არჩვაძე,
საქინფორმის სპეც. კორ.
ქ. ვილნიუსი.

სურათებზე: 1. ასე გამოიყურება ვილნიუსის ქუჩები ამ დღეებში; 2. ლიტვის რესპუბლიკის პარლამენტთან.

ავტორისა და ანატოლი რუხაძის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

სახიფათო ტენდენცია

ხშირად ხდება, რომ ცნობილი პოლიტიკოსის ან პოლიტოლოგის რომელიმე აზრი კონკრეტული პრობლემის შესახებ მოულოდნელად წარმოითქმება ხოლმე, მაგრამ დროთა განმავლობაში გაგრძელებას და გაღრმავებას რომ ვერ ჰპოვებს, ასევე უეცრად ეძლევა დავიწყებას.

შარშან გაზაფხულ-ზაფხულის თვეებში პრესისა და ტელევიზიის საშუალებით მოგვიხდა იმის აღნიშვნა, რომ გავლენიანი ამერიკელი ჟურნალის „ფორინ აფერსის" რედაქტორმა უ. ჰაილენდმა არანაკლებ გავლენიანი გაზეთის „ვაშინგტონ პოსტის" ფურცლებზე საბჭოთა კავშირში შემავალი და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისთვის მეტად სახიფათო აზრი გამოთქვა. კერძოდ, უ. ჰაილენდმა საბჭოთა კავშირის ევოლუციური განვითარება და დასავლეთის დამოკიდებულება ამ პროცესისადმი საკმაოდ მარტივი სქემით განსაზღვრა — სრული დამოუკიდებლობა ბალტიის ქვეყნებს და მტკიცე გარანტიები მოსკოვს, რომ დასავლეთი (შეერთებული შტატები) მხარს დაუჭერს მას ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — აღარ წაახალისებს სხვა რესპუბლიკების მისწრაფებას რეალური სუვერენიტეტის მოპოვებისაკენ. უ. ჰაილენდის მოდელი იმხანად რამდენადმე შეუმჩნეველი დარჩა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის ს. ტელბოტის გაფრთხილებას, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის შემდეგ ჟურნალ „ტაიმის" ფურცლებზე გამოთქვა: უმჯობესია უ. ჰაილენდი თბილისის ბნელ ქუჩებში სეირნობას მოერიდოსო. ამ ფაქტს ყურადღება არც ცენტრალურმა პრესამ მიაქცია, რომლისთვისაც იმპერიის დაშლის ეს „შეზღუდული" ვარიანტიც კი მიუღებელი უნდა იყოს.

გამოხდა ხანი და იმედი მოგვეცა, რომ პატივცემული რედაქტორის თვალსაზრისმა ვერ პოვა დასაყრდენი ფართო პოლიტიკურ წრეებში და ამდენად, კონტრარგუმენტების ძებნამაც დაკარგა აზრი. მაგრამ კრემლის დაუფარავმა აგრესიამ ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ კვლავ წამოატივტივა უ. ჰაილენდის რეცეპტი და, რაც უფრო შემაშფოთებელია, მას საბჭოთა პრესის ფურცლებზეც მოუნახა ადგილი. ჯერ იყო და „ზა რუბეჟომ" (№5, 1991) გერმანულ „ველტ ამ ზონტაგიდან" გადმობეჭდა შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის ვრცელი წერილი საბჭოთა იმპერიისა და მისი მომავალი განვითარების შესახებ, რომელშიც, კერძოდ, ამერიკის ადმინისტრაციისადმი გამოთქმულ რეკომენდაციებში, ნათქვამია: „ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის საკითხში აშშ შემდგომშიც უნდა შეინარჩუნოს თავისი ისტორიული პოზიცია (ამ ქვეყნების საბჭოთა კავშირში ინკორპორაციის არცნობა — გ. ბ.). სხვა რესპუბლიკებთან მიმართებაში სიტუაცია, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო რთულია, უწინარეს ყოვლისა კავკასიაში, სადაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი მრავალი ასწლეულის განმავლობაში ითქვიფებოდა". მკითხველი დაგვეთანხმება, რომ უ. ჰაილენდისგან განსხვავებით, ყოფილი სახელმწიფო მდივანი თავს იკავებს კატეგორიული მსჯელობისაგან, მაგრამ მთლიანობაში ეს არ ცვლის მისი პოზიციის არსს.

სამაგიეროდ ბევრად უფრო კონკრეტულად და მიუკიბ-მოუკიბავად გამოხატავს თავის პოზიციას აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი დირექტორი უ. კოლბი. საგულისხმოა, რომ უ. კოლბი ლექციებით გამოვიდა შვედეთის ქალაქებში მალმიოსა და ლუნდში, მაგრამ გაზეთმა „იზვესტიამ" (14 თებერვალი, 1991 წ.) რატომღაც მიზანშეწონილად ჩათვალა მისი ნააზრევის თავის მკითხველამდე მიტანა: საბჭოთა კავშირმა „უნდა მოძებნოს საშუალო გზა რეფორმატორებისა და „დისციპლინის მომხრეთა" კურსებს შორის, იპოვოს მოდელი, რომელიც საბჭოთა იმპერიის დაუშლელად თავისუფლებას მიანიჭებს ბალტიისპირეთს". სიმართლე რომ ითქვას, გვიჭირს იმის გახსენება, თუ როდის ეკიდებოდა მოსკოვი და საბჭოთა პრესა ასეთი ყურადღებით ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მაღალი რანგის მოხელეების (ყოფილისა თუ ახლანდელის) თვალსაზრისს. მაგრამ საქმე სწორედ ის უნდა იყოს, რომ კრემლი რაღაც მოსაზრებების გამო დიდი აურზაურის გარეშე ცდილობს აღნიშნული მოდელის მასების შეგნებაში თანდათანობით დამკვიდრებას. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს გაზეთ „ინთერნეშნლ ჰერალდ თრიბუნის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში მოყვანილი ცნობაც, რომ მოვლენათა ამგვარ განვითარებას არც „პერესტროიკის" აქტიური მომხრე ა. იაკოვლევი გამორიცხავს...

ამბობენ, შიშს დიდი თვალები აქვსო. შესაძლოა, ჩვენი შეშფოთებაც რამდენადმე გაზვიადებული იყოს თუნდაც იმიტომ, რომ აქ მოხსენიებული ავტორები ჩამოცილებული არიან აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, თუ რაოდენ დიდი გავლენით სარგებლობს იგივე ჰ. კისინჯერი, რომლის რეკომენდაციებს თითქმის ყველა მომდევნო ადმინისტრაცია უწევდა და უწევს ანგარიშს. და საერთოდ, როდესაც დიდ პოლიტიკოსთან ახლოს მდგომი სამი ადამიანი (პლუს იაკოვლევი) ერთმანეთის დამოუკიდებლად, სხვადასხვა დროს ერთი და იგივე აზრს გამოთქვამს, ეს უკვე არა თუ დამთხვევაა, არამედ ტენდენციაა, ჩვენს შემთხვევაში კი მეტად სახიფათო.

აქ არ და ვერ შევუდგებით ამ ტენდენციის გაჩენის მიზეზების ახსნასა და გარკვევას. მთავარი ალბათ ის არის, რომ საქართველო მზად უნდა იყოს მოვლენათა ასეთი განვითარებისათვის. გარდა ამისა, უნდა შევეცადოთ დავარწმუნოთ დასავლეთი, კერძოდ, შეერთებული შტატები, რომ მხოლოდ ბალტიის ქვეყნების გამოსვლა საბჭოთა კავშირიდან ვერ შეაჩერებს იმპერიის რღვევის ლოგიკურ და ბუნებრივ პროცესს. აქედან გამომდინარე კი ვერავითარი გარანტია ვერ დაუპირისპირდება ხალხების მისწრაფებას დამოუკიდებლობისაკენ და, შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოებას. ამიტომ უმჯობესია, მთელმა ცივილიზებულმა სამყარომ ერთად იფიქროს იმაზე, თუ როგორ შეიძლება ამ ლოგიკური პროცესის უმტკივნეულოდ, უმსხვერპლოდ დასრულება.

გიგა ბურდული

ცნობები სპარსეთის ყურიდან

შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რიჩარდ ჩეინიმ განაცხადა, რომ მისთვის რამდენადმე მოულოდნელი, ამავე დროს ფრიად სასიამოვნო იყო მრავალეროვნული ძალების წარმატებითი შეტევა ერაყის პოზიციებზე ქუვეითში. „მთელ ფრონტზე ერაყელ ჯარისკაცთა წინააღმდეგობა უმნიშვნელო იყო, ჩვენი დანაკარგი კი ერთობ მცირეა", — აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. მისი აზრით, ერაყი ჯერჯერობით თავს იკავებს ქიმიური და ნერვული დამადამბლავებელი იარაღის გამოყენებისაგან.

როგორც კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრმა ლეს ესპინმა აღნიშნა, „ერაყის არმია მარცხს მარცხზე განიცდის. თუ მან ნებისყოფა არ გამოიჩინა, ომი ოთხ-ხუთ დღეში დასრულდება".

საინფორმაციო საშუალებების ცნობებით, მოკავშირეთა სამხედრო შენაერთები ღრმად შეიჭრნენ ქუვეითში. ზოგიერთი სამხედრო ნაწილი მის დედაქალაქს მიადგა, სხვა ნაწილები კი ქალაქს გვერდს უვლიან, რათა ალყაში მოაქციონ ერაყის სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც დემორალიზებული არიან მოკავშირეთა სწრაფი შეტევით. უკვე 10 ათასი ერაყელი ჯარისკაცი დანებდა მოკავშირეებს. მოკავშირეებმა 20 კაცი დაკარგეს.

ცნობები საომარი მოქმედების შესახებ მკაცრ ცენზურას გადის, ამიტომ არავინ იცის მოკავშირეთა სამხედრო ოპერაციების მთავარი მიმართულებები, თუმცა ვარაუდობენ, რომ უახლოეს დღეებში ბრძოლები ერაყის ტერიტორიაზე, ქალაქ ბასრის სამხრეთ ნაწილში გადაინაცვლებს.

მოკავშირეთა გენერლები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბრძოლის დასაწყისიდან რამდენიმე საათის შემდეგ ერაყელ ტყვეთა რიცხვმა ასეთ დიდ ციფრს მიაღწია. ამერიკელთა აზრით, ისინი მზად არიან მიიღონ და დააბინაონ 100 ათასამდე ტყვე ერაყელი. როგორც ჩანს, ეს ციფრი სინამდვილეში მეტი იქნება.

ხანძარი სასტუმროში

დაახლოებით ოთხი საათი დასჭირდათ ლენინგრადელ მეხანძრეებს, რათა მოეხდინათ სასტუმრო „ინტურისტი" — „ლენინგრადის" ცეცხლოვანი სტიქიის ლოკალიზება.

ხანძარი გაჩნდა დაახლოებით დილის რვა საათზე, როგორც ვარაუდობენ, მეშვიდე სართულზე ტელევიზორის კინესკოპის აფეთქების შედეგად. სინთეტიკით მოპირკეთებულ ოთახს მაშინვე წაეკიდა ცეცხლი, ცეცხლის ალი ზედა სართულებსაც მოედო.

რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილას მოვიდნენ პირველი სახანძრო ნაწილის მებრძოლები.

ამ ორთაბრძოლაში ცოცხლად დაიწვნენ კაპიტანი კაპიტონოვი და მისი რვა ამხანაგი. როგორც ლენინგრადის სახანძრო დაცვის სამმართველომ გვაცნობა, წინასწარი მონაცემებით მებრძოლ-მეხანძრეთა გარდა დაიღუპა სასტუმროს რამდენიმე ბინადარიც, ფიქრობენ რვა კაცი. ახლა ეს ცნობები ზუსტდება.

ლენინგრადელ მეხანძრეთა ხელმძღვანელმა წუხილით აღნიშნა, რომ მსხვერპლი შეიძლებოდა არ ყოფილიყო სტიქიის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლისათვის საჭირო ტექნიკა, მოწყობილობა და აღჭურვილობა რომ ჰქონოდათ. როგორ შეიძლება დიდი მასშტაბის ხანძრის ჩაქრობა, განაცხადა მან, თუ სპეციალური მანქანის კიბეები ვერ აწვდება ცეცხლწაკიდებულ სართულებს, თუ ხელთ არ გაქვს ცეცხლისა და კვამლის დასაზვერი ხელსაწყოები. სახანძრო დაცვის სამმართველოს ხელმძღვანელებმა, მათი თქმით, არაერთგზის მიმართეს ლენინგრადის საბჭოს დაბეჯითებითი მოთხოვნით შეესყიდათ ახალი ტექნიკა, მაგრამ უშედეგოდ.

ბალტიისპირელთა მხარდასაჭერი სესია კოპენჰაგენში

გუშინ დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში გაიხსნა ევროპის ჩრდილოეთის ქვეყნების: დანიის, ფინეთის, შვედეთის, ნორვეგიისა და ისლანდიის საკონსულტაციო საერთაშორისო ორგანიზაციის 39-ე სესია. ამ ორგანიზაციას ხშირად ჩრდილოეთის საბჭოსაც უწოდებენ.

იგი 1 მარტამდე გასტანს და მრავალ საკითხთან ერთად განიხილავს ისლანდიის თხოვნასაც, რომ ზემოთ აღნიშნულმა ქვეყნებმა მიბაძონ რეიკიავიკს და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან.

სესიაში მონაწილეობდნენ არნოლდ რუიტელი (ესტონეთი), ანატოლი გორბუნოვი (ლატვია) და ლიტვის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბრონისლავას კუზმიცკასი.

წითელი ჯვრის მოწოდება

ერაყის წინააღმდეგ ფართო სახმელეთო ოპერაციის დაწყებასთან დაკავშირებით „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციამ მებრძოლ მხარეებს მოუწოდა ჰუმანურად მოეპყრან სამოქალაქო მოსახლეობას და სამხედრო ტყვეებს. მათ წამოაყენეს წინადადება, რომ შეიქმნას ნეიტრალური ზონები, სადაც თავს შეაფარებს მშვიდობიანი მოსახლეობა.

ემხრობიან პრეზიდენტს

გელაპის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის სააგენტოს მონაცემებით ირკვევა, რომ ამერიკელთა 84 პროცენტი ეთანხმება ბუშის ადმინისტრაციას ფართო სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს ერაყის წინააღმდეგ. ამავე სააგენტოს მონაცემებით, მიაჩნიათ, რომ ომი სწრაფად დასრულდება.

სომხეთის მძიმე ზამთარი

სომხეთის ინდუსტრიის 90 პროცენტი არ მუშაობს იმის გამო, რომ საკმარისი სათბობი არ არის, თანაც 10-15 გრადუსი ყინვაა. სომხეთის მოსახლეობა გაზაფხულს ელოდება.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ენერგეტიკის მინისტრი ვარდან ამირბეკიანი ამბობს, რომ მეტწილად სანთლის შუქზე უხდება კითხვა ან სამხრობა. მის სახლში, ყოველდღიურად ითიშება ელექტროენერგია. ტელევიზია საღამოს 8 საათზე იწყებს მუშაობას. რესტორნებში ხალხი პალტოებში ჩაცმული ზის. ბოლო ერთი კვირის განმავლობაში საავადმყოფოებიც ელექტროენერგიის გარეშე მუშაობენ. ბუნებრივი გაზის მთავარი სადენები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის. ამირბეკიანმა განაცხადა, შარშან ზაფხულში ბაქომ ორი თვით გადაკეტა გაზი, რითაც აიძულა სომხეთი ეხმარა საწვავის რეზერვებით. გაზის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა კი ჭარბი რაოდენობით იყენებს ელექტროენერგიას. სომხეთი ნედლეულის მიღებაში დამოკიდებულია სხვა რესპუბლიკებზე, რამაც ძალზე შეაფერხა ამ რესპუბლიკის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ. ვარდან ამირბეკიანის აზრით, თავისუფლება შორსაა სომხეთისაგან. ჯერ საკუთარი თავის გამოკვებაც არ შეგვიძლიაო, დასძინა მან.

ბაღდადის ცნობა

ბაღდადში გავრცელდა სახმელეთო საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან ერაყის ხელმძღვანელობის მეორე კომუნიკე, რომელიც მრავალეროვნული ძალების საბრძოლო ცნობებისაგან რამდენადმე სხვაგვარ მდგომარეობას ასახავს ფრონტზე.

„მოწინააღმდეგემ დესანტი გადმოსხა ჩვენი თავდაცვის ხაზს აქეთ მანაკიშას რაიონში, ელ-ქუვეითიდან სამხრეთ-დასავლეთით, — ნათქვამია, კერძოდ, ბაღდადის რადიოთი წაკითხულ კომუნიკეში. — მოხდა გააფთრებული შეტაკება, რის შედეგადაც მტრის ჯარები განადგურებულია". ჩაიფუშა მრავალეროვნული ძალების ნაწილებისა და ქვეგანაყოფების შეტევა ფრონტის ოთხ მონაკვეთზე, მოგერიებულია ინგლის-საფრანგეთის ჯავშანსატანკო ძალების ცდა შეჭრილიყვნენ ერაყის მოსაზღვრე უდაბნოს დასავლეთ ნაწილში.

მრავალეროვნული ძალები ფართომასშტაბიან შეტევას განაგრძობენ ქუვეითში: საომარ მოქმედებათა დაწყებიდან მრავალეროვნული ძალების სარდლობამ მოლოდინის საწინააღმდეგოდ დაადასტურა „მოკავშირეთა ჯარების უჩვეულოდ სწრაფი წინსვლა და ერაყის დაჯგუფებათა მხრივ სუსტი წინააღმდეგობა". ორი ათასზე მეტი ამერიკელი მედესანტე საბრძოლო ვერტმფრენების მხარდაჭერით გადასხდა ერაყის ტერიტორიის სიღრმეში, გვაუწყა მენას სააგენტომ და არაოფიციალური ამერიკული წყაროები დაიმოწმა.

სურათებზე: ამერიკელი ჯარისკაცები საბრძოლო პოზიციაზე; ერაყელი ტყვეები.

პრესის სააგენტო-საკდესი-საქინფორმის ტელეფოტო.

ისტორიისათვის

საქართველო და ოსები

საქართველოსა და ოსებს შორის, როგორც ადრეც ვწერდით, არსებობდა მხოლოდ ერთგვაროვანი მიმართება. ქართველნი მოყვრულად განწყობილნი მათ მიმართ, ოსნი — მტრულად ქართველთა მიმართ. ოსთა მოძალება საქართველოს მიწა-წყლისადმი დასრულდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნით. ამჯერად, ეს ხელოვნური წარმონაქმნი გაუქმებულია.

ჩვენ კი ვიტყოდით, რომ ცენტრიდან ზურგგამაგრებული ოსნი უთუოდ მოაწყობდნენ შიდა ქართლში ბართლომეს ღამეს და მსხვერპლი მაშინ გაცილებით მეტი იქნებოდა. ეს პრობლემა დამოკლეს მახვილივით ეკიდა ჩვენი სამშობლოს ცაზე.

ამიტომაც ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს, კერძოდ კი პირადად მისი მეთაურის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, ამ გორდიასის კვანძის მაკედონელისებრი გადაჭრა უთუოდ ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს პოლიტიკურ მატიანეში.

ვაქვეყნებთ ქართველთა და ოსთა დამოკიდებულების ამსახველ ისტორიულ დოკუმენტებს (არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების არქივიდან).

ედიშერ გიორგაძე,
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

V საუკუნე

„ქართლის ცხოვრებიდან" ამოღებული ეს ადგილი მოგვითხრობს მეფე ვახტანგ გორგასლის ბრძოლას ოსებთან და ხაზარებთან. მეფე ვახტანგი, რომელიც იმ დროს მხოლოდ თხუთმეტი წლისა გახლდათ, ორთაბრძოლაში ამარცხებს ჯერ ხაზართა გოლიათს, შემდგომ კი ოსთა გოლიათს, ბაყათარს.

აღსანიშნავია რომ, როდესაც ყრმა ვახტანგი გადიოდა ნაცად თარხანთან საბრძოლველად, (ვინც მანამდე მოკლა მასთან შერკინების მოსურნე ქართველი გოლიათი ფარსმანი) დიდებულნი წინაღუდგნენ მას. მაშინ ვახტანგმა მიუგო: „არა ძალითა ჩემითა განვალ, არამედ ძალითა ჯუარცმულისათა იძლიოს ჩემ მიერ".

ამავე ძალით მოკლა მეფე ვახტანგმა გოლიათი ოვსთა.

„გამოვიდა გოლიათი, სახელით ბაყათარ ოსი, რომლის მშვილდისა სიგრძე იყო ათორმეტი მტკაველი და ისარი ექუსი; იყივლა:

— „ვახტანგ! ნუ გალაღდები, რამეთუ არა ერთი თარხან გოლიათთა შინა; ან უკეთუ გამოხვიდე, მოგხუდეს ჩემ მიერ ნაკრავი ფიცხელი; ხოლო უკეთუ არა, სხუა ვინმე გამოვიდეს სპათა შენთაგანი".

მაშინ ვახტანგ პასუხ უგო მქუხარედ და განვიდა და გამოიწვია ოვსი მდინარის ამიერ კიდესა:

—„რამეთუ ხარ მონა და მე მეფე, ამისათვის არა გამოვიდე, არამედ გამოვედ შენ".

უსმინა ბაყათარ და გამოვიდა კადნიერად და დაასხნეს ისარნი ერთმანეთს, არამედ მეფე აცთუნებდა სიფიცხლითა ცხენისათა და სიკისკასითა თვისითა და მიუახლოვდა ბაყათარს, ჰკრა ისარი ბაყათარ ცხენსა ვახტანგ ფერდისასა და განაგდო იქით. არამედ ვახტანგ მყის სიფიცხითა ცხენისათა მიუხდა, ჰკრა ხრმალი ბაყათარს მხარსა და ჩაჰკუეთა გულამდე და მოკლა; ხოლო ალჴდა ცხენსა მისსა და არღარა გარეშემოიქცა, არამედ ალუზახნა სპათა თვისთა; მიეტევნენ და იქმნა ბრძოლა ძლიერი, რამეთუ დაასხნეს ოვსთა ისარნი კმოდიდან. მაშინ მეფე უზახოდა ზურგით კერძო სპათა თვისთა და მხნედ ჰყოფდა;. ხოლო ალვიდნენ რა ველსა ზედა, უსასტიკესად, ეკუეთნენ.

შემდგომად იძლივნენ ოვსნი და ხაზარნი; ძლეულთა მოსწყუედნენ და მოსრვიდენ ურიცხუთა. მერმე შემოვიდა ვახტანგი ოვსეთს, მა). მან აღაშენა და შეაკეთა არაშემუსრნა ციხე-ქალაქნი, მოსტყუევნა და მოაოხრნა, კუალად მოსტყუევნა პაჭანიგნი და ჯიქეთნი და მოადგა კუალად ოვსეთსავე და მაშინ მეფე მან ვახტანგ ტყუე-ყვნა იგი ოვსნი".

„ქართლის ცხოვრება"

XVIII საუკუნე

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II, ვინც ქართული ისტორიოგრაფია განაძლიერა თავისი გამოკვლევებით, წიგნში „საქართველოს ისტორიისა და ეგზარქატის ისტორიის მოკლე ნარკვევი" გადმოგვცემს ქართველთა საგანმანათლებლო მუშაობაზე ოსთა შორის: „ოსებს შორის დიდი საგანმანათლებლო მუშაობა გასწია გაიოზ რექტორმა (ნაცვლიშვილ- ერთი ეკლესია-მონასტერი, ახლად დაარსებული სკოლისა და აღსაზრდელებისათვის მოიწვია ისეთი ძლიერი პედაგოგები, როგორიც იყო მოსკოვის ბერძნულ-ლათინურ-სლავური აკადემიის კურსდამთავრებული იოანე ჰილაშვილი.

გაიოზ რექტორმა სათავე დაუდო ოსურ ანბანს, რომლის საფუძვლად აიღო საეკლესიო-სლავური ასოების მოხაზულობა, ხოლო ოსური ენისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ბგერათა გამოსახატავად მოიგონა ახალი ასოები, ორი ან სამი სლავური ასოს შერწყმით".

კირიონი

XIX საუკუნე

გამოჩენილი ქართველი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ძირფესვიანად არის ასახული ოსთა მოღალატეობრივი ბუნება და შინაგანობა. ვაქვეყნებთ ერთ ასეთ ნაწყვეტს მისი თხზულებიდან „ხევისბერი გოჩა":

„თრუსოს ხეობის გამოსასვლელში, სადაც თერგი ვიწრო ხეობიდან თავს აღწევს და იშლება კობის გადაჭიმულ ვაკეზედ, ოსების უკანასკნელ სოფელს ოქროყანასთან საკმაოდ ბევრი ხალხი მოგროვილიყო...

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო. ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირებდნენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

უეცრივ თრუსოს ხეობის ხევულ ბილიკზედ კორიანტელი ავარდა.

— ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! — გაისმა დაძახილი.

დიახ, ეს გახლდათ ნუგზარაი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგული ოსების ურდოსაკენ, სადაც პირობისამებრ ისინი უნდა მოგროვილიყვნენ და ხევზედ გალაშქრებულიყვნენ.

სიტყვა არ უნდა, რომ ოსებს გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა იმ ხალხისა, რადგანაც შუაში შეჭრილი, ყოველმხრივ მტერ შემორტყმული თვალშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვნივ თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად ბასრ გორდას იქნევდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ნუგზარის მიშველება იმათ წადილს ეთანხმებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდნენ, რომ ფართო ასპარეზი დარჩენოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის.

მალე ნუგზარიც გამოჩნდა.

ოსების ურდოდან გამოცალკევდა რამდენიმე მხედარი და მის მისაგებებლად გაემართა.

— და ფანდაგ რასტს (გზა მშვიდობისათ) მიესალმა ნუგზარი და პასუხად მიიღო.

— და ყუტა რასტ.

— ჯარი მოგროვდა?

— მოგროვდა, ყველანი აქ არიან, — უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულ ოსებში თაობდა.

— ხომ არავინ დაჰკლებია? — მზრუნველობით იკითხა ნუგზარმა.

— თუკი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? — მოუქასურა ოსმა.

— მაშ გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ— წარმოთქვა ნუგზარმა."

ალექსანდრე ყაზბეგი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

წერილები რედაქციას

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

„და ნუ გეშინიათ იმათი, რომელნიც ჰკლავენ ხორცს, მაგრამ არ შეუძლიათ სულის მოკვლა; არამედ უფრო გეშინოდეთ იმისა, ვისაც შეუძლია სულიცა და ხორციც წარწყმიდოს გეენას".
მათე, 10, 28.

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში თვალშისაცემი გახდა ელემენტარული ზნეობრივი ნორმების უგულებელყოფის ალმაშფოთებელი ფაქტები. გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთ სფეროში უზნეობისა და თავაშვებულობის მოძალებაზე.

სარგებლობენ რა იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიც იმყოფება დღეს ჩვენი ქვეყანა და მისი სამართალდამცავი ორგანოები, ადამიანის ხორციელი ინსტინქტების გამოყენებით ხელის მოთბობის სხვადასხვა ჯურის მსურველებმა თავი აიშვეს — ქალაქის ქუჩებსა თუ ჯიხურებში თავისუფლადაა გამოფენილი და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე იყიდება ეროტიკულ-პორნოგრაფიული შინაარსის პლაკატები და ლიტერატურა, სხვა პოლიგრაფიული თუ სხვა სახის ნაწარმი. აშკარად პორნოგრაფიული ფილმების, ძალადობისა და ეროტიკის უხვი სიუჟეტებით გაჯერებული ვიდეომასალის დემონსტრირება და გავრცელება ხდება ვიდეოსალონებითა და ვიდეოთეკებით. ეროტიკისა და ძალადობის მოზღვავების „მოდას" კინოთეატრები, კომერციული და სახელმწიფო ტელევიზიაც კი აჰყვა. ზოგან ისეთ მკრეხელობამდეც კი მისულან, რომ ერთმანეთის გვერდით უწყვიათ გასაყიდად გამზადებული წმინდა წიგნები და სექსის სახელმძღვანელოები, წმინდა ხატები და ეროტიკული პლაკატები...

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 232 მუხლი, რომელიც კრძალავს პორნოგრაფიის გავრცელებას, ფაქტობრივად აღარ მოქმედებს.

ყოველივე ამან არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს როგორც საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობასა და ტრადიციული ეთიკის ნორმების სიმყარეზე, ისე მოზარდი თაობის ფსიქიკურ და სულიერ განვითარებაზე და ახალგაზრდობის მიერ დანაშაულობათა ჩადენის გაზრდაზე, ადამიანებს შორის ურთიერთობებში ცინიზმისა და სისასტიკის მოზღვავებაზე, რისი მოწმენიც ჩვენ დღეს ვართ და რამაც არ შეიძლება, რომ სერიოზულად არ შეაშფოთოს ყველა პატიოსანი მოქალაქე.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ან მისმა პრეზიდიუმმა თავისი დადგენილებით დააკანონოს, რომ

ა) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აკრძალულია ყოველგვარი პორნოგრაფიული ხასიათის ნაწარმოების, გამოხატულების, პოლიგრაფიული ან სხვა სახის (კინო, ვიდეო და აუდიომასალის და ა. შ.) ნაწარმის, საგნების დამზადება და გავრცელება, მათი შენახვა გაყიდვის ან გავრცელების მიზნით.

ბ) ეროტიკული შინაარსის პოლიგრაფიული ან სხვა სახის ნაწარმის გაყიდვა ან გამოფენა ნებადართულია მხოლოდ სპეციალურად ამ მიზნით გახსნილ სპეციალიზირებულ მაღაზიებსა და სალონებში.

გ) სექსოლოგიური შინაარსის ლიტერატურის გაყიდვა ნებადართულია მხოლოდ სპეციალიზირებულ სამედიცინო ლიტერატურის მაღაზიებში ასაკის მიხედვით დიფერენცირებულობის გათვალისწინებით და ამ ლიტერატურაზე შესაბამისი სამედიცინო სამსახურის დასკვნისა და ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

დ) სახელმწიფო კომერციული, კერძო ან სხვა სახის ტელევიზიით, ვიდეოსალონებსა და კინოთეატრებში ან მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში აკრძალულია ისეთი კინო და ვიდეომასალის დემონსტრირება, რომელიც შეიცავს ძალადობის პროპაგანდას ან ეროტიკულ-პორნოგრაფიულ მასალით გაჯერებულ სიუჟეტებს. ეროტიკული ხასიათის კინო და ვიდეომასალის დემონსტრირება ტელევიზიით შეიძლება მხოლოდ ღამის საათებში (24 სთ-დან დილის 6 სთ-მდე), ვიდეოსალონებსა და კინოთეატრებში მხოლოდ საღამოს (20 სთ-ის შემდეგ) სეანსებზე 16 წლამდე მოზარდთა მათზე დასწრების აკრძალვით.

ე) აკრძალულია ძალადობისა და ეროტიკულ-პორნოგრაფიული ხასიათის სიუჟეტების შემცველი მასალის გავრცელება ვიდეოთეკებით.

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში უნდა შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები ან დამატებები ასეთი დადგენილების ქმედითუნარიანობის გასაძლიერებლად, მაგალითად, ბ) პუნქტის დარღვევისათვის გათვალისწინებულ იქნას ჯარიმა 3000 მანეთის ოდენობით, გ) პუნქტის დარღვევისათვის — 1000 მანეთის ოდენობით, დ) პუნქტის დარღვევისათვის — 10 000 მანეთის ოდენობით, ე) პუნქტის დარღვევისათვის — 5000 მანეთის ოდენობით.

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასულიერო ლიტერატურის და რელიგიური მოხმარების საგნების დამზადებისა და გავრცელების უფლება ჰქონდეს მხოლოდ რელიგიურ დაწესებულებებს ან იმ ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ ნებართვა ეკლესიისაგან.

იმედი გვაქვს, რომ მიუხედავად თქვენი მოუცლელობისა და დაკავებულობისა ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემებით, ყურადღებას მიაქცევთ ჩვენს თხოვნას და მიიღებთ შესაბამის ზომებს.

ამასთან, გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ მზად ვართ მხარში ამოვუდგეთ რესპუბლიკის სამართალდამცავ ორგანოებს ასეთი დადგენილების პრაქტიკულ განხორციელებაში, თუ ის იქნა მიღებული, და მის რეალიზაციაში.

პატივისცემით
საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაციის პრეზიდენტი მ. აბულაძე.

სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების განცხადება

თანამემამულენო!

დღეს საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს ავალებს გულთან მიიტანოს მშობლიური მიწა-წყლის გასაჭირი. ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება კატეგორიულად გმობს კრემლის მიერ ყოველგვარ ბინძურ გამოხდომას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ, რომელსაც სათავეში უდგას ხალხის მიერ არჩეული ეროვნული პარლამენტი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, ითვალისწინებს რა თავის წესდებას და პროგრამას, მხარს უჭერს ეროვნულ პარლამენტს და აცხადებს:

1) შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ყოველგვარი ჩარევა.

2) შეწყდეს ოსი ექსტრემისტების გაქეზება ქართველი ერის წინააღმდეგ.

3) შეწყდეს სამაჩაბლოს ტერიტორიაზე (ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) ოსი ექსტრემისტების შეიარაღებული გამოხდომები.

4) გაყვანილი იქნეს სამაჩაბლოს ტერიტორიიდან ჩრდილოეთ ოსეთიდან შემოსული გენერალ ცაგალოვის მიერ შექმნილი ე. წ. შეიარაღებული დაჯგუფებები (ბოევიკები).

5) უცხო ქვეყნის, ე. წ. სსრკ მასობრივი ინფორმაციის წყაროების („ვრემია" „ტსნ" „კრასნაია ზვეზდა", „იზვესტია") მიერ შეწყვეტილი იქნეს დეზინფორმაციისა და ჭორების გავრცელება ე. წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესებზე.

6) ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება მხარს უჭერს დამოუკიდებელ ენერგეტიკოსთა კავშირის მოქმედებას, იმის გამო, რომ ცხინვალის, ჯავის და ზნაურის რაიონებსა და მიმდებარე ოსურ დასახლებებს გამოეთიშათ ელექტროენერგია, რადგან არსებული ინფორმაციის საფუძველზე ცნობილია, რომ დასახლებულ რაიონებში, საკავშირო დაქვემდებარების ორგანიზაციებში მზადდება მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ გამოსაყენებელი ცეცხლმსროლელი იარაღი.

7) მოვითხოვთ, დაისაჯონ ის პიროვნებები, რომლებმაც კრემლის მხარდაჭერით შეძლეს ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ურთიერთობის გამწვავება ძირ-ძველ ქართულ მიწაზე (სამაჩაბლოს ტერიტორიაზე), ა. ჩოჩიევი, კულუმბეკოვი, გაზაევი და ადამონ ნიხასის წევრები.

თუ ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოების ეს მოთხოვნები დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება თანახმად პროგრამისა და წესდების მე-9 მუხლისა, გარდაიქმნება მებრძოლ ორგანიზაციად, რომელიც დაექვემდებარება ეროვნული პარლამენტის მიერ შექმნილ ეროვნულ გვარდიას და მასთან ერთად იბრძოლებს ქართული მიწაწყლისა და ქართველი ერის ინტერესების დასაცავად.

ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება თავს უფლებას აძლევს მოუწოდოს ყველა ქართველს, ვისაც გული უძგერს სამშობლოს კეთილდღეობისათვის, გაერთიანდეს იმ დროშის ქვეშ, რომელიც ამჟამად ინახება საქართველოს ეროვნულ პარლამენტში და რომლითაც 1924 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი შეფიცულები შიშის ზარს სცემენ იმ დროისათვის ახლად ჩასახულ საბჭოთა იმპერიას.

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი! ამინ!

სრულიად საქართველოს ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოება
თავმჯდომარე ზვიად ხმალაძე
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ქუთათელაძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარ რედაქტორს

ბატონო რედაქტორო!

თქვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა „სამაჩაბლოს ქართველების მიმართვა ქართველ ერს", რომელსაც ხელს აწერს 171 კაცი. ჩვენ არ შევუდგებით იმ ულოგიკობის და ფაქტების ფალსიფიკაციის კონსტატირებას, რითაც სავსეა ეს მიმართვა, რადგან ამის მხილებას საგანგებო წერილი სჭირდება.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ, რომელმაც მიზანმიმართულად დაიწყო შეურიგებელი ეროვნული ოპოზიციის ლიკვიდაცია, გადაწყვიტა რადაც უნდა დაუჯდეს შეძლოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღიარებული ლიდერის ირაკლი წერეთლის დისკრედიტაცია, ნაცადი ბოლშევიკური მეთოდის „მშრომელთა კოლექტიური თხოვნების" გამოყენებით.

ამ საზიზღარი ინსინუაციის ავტორებს შევახსენებთ, რომ ამგვარი უღირსი ხერხებით ჭეშმარიტი მამულიშვილის ღირსების ხელყოფის ცდა არა მარტო ამაღლებს თავდასხმის ობიექტის ავტორიტეტს, არამედ ბუმერანგივით დაუბრუნდებათ მათვე.

ირაკლი წერეთელმა მთელი თავისი ცხოვრებით, საქართველოს თავისუფლებისათვის შეუპოვარი ბრძოლით და მტრისადმი უკომპრომისო დამოკიდებულებით, სრულიად დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა ქართველ ერში და მას ვეღარაფერი ვეღარ შებღალავს.

რაც შეეხება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სტრატეგიული გეზის სისწორის დადასტურებას, გეზისა, რომელიც ი. წერეთლის ხელმძღვანელობით შეიმუშავა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამ, მომავალს მივანდოთ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია. 21.02.91.

რედაქციისაგან: აბსურდულიც კი გახდა იმის მტკიცება, თითქოს დღევანდელი ხელისუფლება დევნის ეროვნულ ოპოზიციას, როცა თვით ეს ხელისუფლება წარმოადგენს ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უძლიერეს ფრთას. ყველაფერს ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ, მით უმეტეს, როცა საქმე გაზეთში ამა თუ იმ წერილის დაბეჭდვას ეხება. რაც შეეხება რედაქციას, ღმერთმა დაიფაროს იგი ჭეშმარიტი მამულიშვილების ღირსების ხელყოფისაგან, რაც ხმას არ ნიშნავს, რომ ობიექტურად არ გავაშუქოთ დღევანდელი რთული მდგომარეობა და არ ვთქვათ სათქმელი, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი.

„საქართველოს რესპუბლიკისა" და „ვესტნიკ გრუზიის" რედაქციებს

გავეცანი „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ, მეტად ორიგინალურ პუბლიკაციას ჩემს შესახებ. ეს პატივი ჩემთვის არც თუ ისე მოულოდნელი იყო, რამეთუ პოლიტიკურად სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ თავდასხმები ამ გაზეთის ძირითად პროფილს წარმოადგენს.

თუმც გაყალბებისათვის შესაძლებლობისდაგვარად (მეორე დოკუმენტში) — ზოგ ადგილას— რეალური ტექსტიც გამოუყენებიათ, მაგრამ მთლიანობაში პუბლიკაცია აშკარა სიყალბეა და ჩემთვის სახელის გატეხვას ისახავს მიზნად. ამ მიზანს დაშურებულთ ელემენტარული დაკვირვებულობაც დავიწყებიათ და თუმც ტექსტის ჭეშმარიტების დადგენას, რა თქმა უნდა, ნეიტრალური (ე. ი. არასაბჭოთა) ექსპერტები სჭირდება, მაგრამ ფაბრიკაციას ნათელყოფს ერთი კურიოზი! დოკუმენტზე, რომელიც თითქოსდა ჩემს სამეურნეო სამსახურში ყოფნაზე მეტყველებს, თარიღად დაუსვით 1985 წლის სექტემბერი. საქმე იმაშია, რომ ამ დროს მე დიდი სურვილის შემთხვევაშიც ვერაფრით ვერ შევძლებდი სამეურნეო სამსახურში ყოფნას იმ უბრალო მიზეზით, რომ **ეს თარიღი არ ემთხვევა ჩემს პატიმრობაში ყოფნის პერიოდს!** მე პატიმრობიდან გავთავისუფლდი 1985 წლის 15 აპრილს, ასე რომ, მითითებული თარიღის დროს უკვე ნახევარი წელია, რაც გათავისუფლებული ვიყავი და უკვე ვმუშაობდი სახელმწიფო არქივში. სამეურნეო ნაწილში რომ დამეწყო მუშაობა, ეს უნდა მომხდარიყო უშუალოდ სასამართლოს შემდეგ, ე. ი. 1983 წელში. პუბლიკაციის წინასიტყვაობაში მითითებული „გამოსწორება" და „სანდოობა" ამ პერიოდში სწორედ სასამართლო პროცესზე მონანიების თუ სხვა მსგავს საქციელში უნდა ასახულიყო, ხოლო ჩემი პოზიცია სასამართლოზე საიდუმლო არ არის თვითმხილველებისთვის და კარგად გამოჩნდება სასამართლოს მასალებიდან თუ განაჩენიდანაც, თუ რა თქმა უნდა, გაყალბებას არ ექნება ადგილი.

დამატებით ინფორმაციისათვის: სასამართლოს შემდეგ ხელისუფლებას ჩემი, ნ. კაკაბაძის და მ. ბადლავაძის თბილისის ქალთა კოლონიაში გადაგზავნა არ უნდოდა: საქართველოში ერთი ქალთა კოლონიაა და რატომღაც შიშობდნენ ესენი ერთად ამდენ ხალხში არ გაიშვებიანო. ამ მიზეზით გადაწყვიტეს ჩვენი რუსეთის კოლონიებში გადაგზავნა, თუმც ჩვეულებრივ ასეთი მუხლით ეს არ ხდება. ინფორმაციამ გარეთ გამოჟონა და ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებმა პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს ჩვენს საქართველოში დასატოვებლად. ხელისუფლებამ უკან დაიხია და ჩვენს რუსეთში გაგზავნაზე ხელი აიღო. თბილისის ქალთა კოლონიაში გაშვება კი, როგორც უკვე აღვნიშნე, არ უნდოდათ, რის გამოც მოითხოვდნენ სამეურნეო ნაწილში დარჩენის თხოვნის დაწერას. თუმც მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რას ნიშნავდა ეს, ჩემს საკანში მყოფ პატიმრებისაგან შევიტყვე, რომ ციხის სამყაროში ეს არც თუ ისე სახარბიელო (როგორც იტყვიან, „არაქურდულ") საქციელად ითვლებოდა და თუმც ჩვენ დისიდენტები ვიყავით და არა ქურდები, საეჭვო ღირსების საქციელისაგან თავი შევიკავეთ და სამეურნეო ნაწილში დარჩენის არავითარი თხოვნა არ დამიწერია. ამის შემდეგ თვეების განმავლობაში ვიმყოფებოდი ორთაჭალის ციხეში კამერაში (და არა სამეურნეო ნაწილში, რომელთანაც არავითარი კავშირი არ მქონია). ხოლო დანარჩენი დრო კი სუკ-ის იზოლატორში.

მთელი ამ მშვენიერი პუბლიკაციის უმშვენიერეს შესავალში ჩემი მისამართით (რადგანაც პუბლიკაცია მე მეძღვნება) ნათქვამია, რომ „ზოგიერთ პიროვნებას უყვარს ტრაბახი, რომ იგი სასჯელს პოლიტიკური ბრალდებით იხდიდა". ამით არასოდეს მიტრაბახია ჯერ ერთი იმიტომ, რომ საერთოდ ასეთი სახის ტრაბახი უღირს საქციელად მიმაჩნია, და მეორეც, ორი წელი, რაც მე ორთაჭალის და სუკ-ის ციხეებში გავატარე, ყოველთვის სრულიად უმნიშვნელოდ მიმაჩნდა, მით უფრო იმ არნახულ და ხანგრძლივ ტანჯვა-წამებასთან შედარებით, რაც ზოგიერთმა სხვა პოლიტპატიმარმა და განსაკუთრებით ტექსტის პირველ ნაწილში ნახსენებმა პიროვნებამ, აბსოლუტურად უკომპრომისოდ გადაიტანა სამშობლოსაგან მოშორებით.

თამარ ჩხეიძე.
21 თებერვალი, 1991 წელი.

რედაქციისაგან: ჩვენს კომპეტენციაში არ შედის ამგვარი ტექსტების არც გაყალბება და არც შელამაზება. რაც შეეხება თარიღს — 1985 წელს, ეს მართლაც რედაქციის დანაშაულია. დოკუმენტის ქსეროასლი ცუდად იკითხება და ამიტომ სარედაქციო ვარიანტში, ლინოტიპზე აწყობილ მასალაში 1985 წელია მინიშნებული. მაგრამ იქვეა დაბეჭდილი ამ დოკუმენტის ფოტოპირი და დაკვირვებული მკითხველი ადვილად გაარჩევს თარიღს — 1983 წელი. მაგრამ ჩვენ ხელმეორედ ვბეჭდავთ ამ დოკუმენტს. მკითხველი თავად დარწმუნდეს.



ЭКЗ.№ 5

ПРИКАЗ

НАЧАЛЬНИКА СЛЕДИЗОЛЯТОРА [illegible] ГССР

за 19[illegible] г.

223 СОДЕРЖАНИЕ" О выводе в хозобслугу СИЗО № 1 [illegible] ГССР осужденных общего режима.

223 „8" сентября 1[illegible]5 г. гор. Тбилиси

აუცილებელი სემანტიკური რევოლუცია

ალბერტ აინშტაინს უთქვამს, XX საუკუნეში რევოლუცია ფიზიკაში კი არა, სემანტიკაში მოხდაო. ჩვენი ვითარება მოწმობს, რომ პოლიტიკაშიც ასეა: დემოკრატიული ინსტიტუტებისაკენ ენობრივი არხი გაიჭრა. შემოვიდა ტერმინები: პრეფექტურა, მუნიციპალიტეტი... სწრაფად გადალაგდა ჩვენს ცნობიერებაში ცნებათა მთელი სისტემა, რითაც საბოლოოდ მოიშალა რუსულიდან ქართულად ნაცოდვილარი, სიყალბესა და ძალადობას მორგებული ბოლშევიკური ტერმინოლოგია. სიტყვას დიდი ძალა აქვს! ახლა გვმართებს ჩვენსავე ცნობიერებაში აღმოვფხვრათ ძველი წარმოდგენები „რაიონის პირველი კაცისა" თუ სხვათა შესახებ. ეს არ არის იარლიყების შეცვლა. ახალი სტრუქტურით პრეფექტი დემოკრატიის ფაქტობრივი განმახორციელებელია.

მართალია, უცხოური სიტყვებია „პრეფექტურა", „მუნიციპალიტეტი"... მაგრამ არც „დემოკრატიაა" ქართული!

ზოგს უჩნდება ეჭვი: ხომ არ არის ეს მაინც უცხოური ნომენკლატურის მექანიკურად გადმოტანა? გამოადგება კი იგი ქართულ საქმეს? ჩვენ კი გვჯერა, რომ ეს არის მეტად საჭირო ხიდი, გადებული ცივილიზებულ სამყაროსთან. ხელთა მაქვს ერთი დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს, რომ ევროპარლამენტი ა.წ. გვიან გაზაფხულზე (6-10 მაისს) ბასკონიაში აპირებს საგანგებო სხდომები მიუძღვნას ევროპული ქვეყნების იმგვარი სამეურნეო და მიკროლოგიური სტრუქტურების აღდგენას, რომლებიც ისტორიულად ფეოდალური წყობის წიაღში იშვა, ხასიათდებოდა ძლიერი კულტურული თვითმყოფობით და დღეს ეკოლოგიურადაც დიდად გამართლებული და სანიმუშოა. ასეთნაირად ორიენტირებულ ქრისტიანულ ევროპაში საქართველო (თავისი კლასიკური მემკვიდრეობით) სწორედაც რომ ერთი უპირველესი ქვეყანა იქნება. ეს, სხვათაშორის, მათაც შენიშნეს და ამის ხელშემწყობი დიდი პროექტების შედგენასაც (ნაწილობრივ განხორციელებასაც) შეუდგნენ.

აქ ეს იმიტომ ვახსენე, რომ ახლებური სამოქალაქო წყობა — ნაირგვარი სტრუქტურული ერთეულებითა და სათანადო ნომენკლატურით — მიმაჩნია იმ აუცილებელ გზად, რომელიც ცივილიზებულ ევროპასთან სწორედ საუკეთესო ქართული ტრადიციების აღორძინებით მიგვიყვანს.

გურამ რამიშვილი.

სპორტი



„ორბი"

ასეთი სახელწოდება აქვს სპორტულ კლუბს, სადაც ასამდე წევრია გაერთიანებული კიოკუშინკაის (კონტაქტური) კარატეს სექციაში. მისი შტაბ-ბინა თბილისში, 26 მაისის სახელობის სტადიონზეა.

როგორც აღმოსავლურ სპორტულ სახეობათა მოყვარულებმა იციან, კიოკუშინკაი კარატეს დამაარსებელია 10 დანის მფლობელი ოსტატი კანჩო მასუტაცუ ოიამა, რომელიც 1923 წელს დაიბადა ტოკიოში და დღესაც აქტიურად მუშაობს თავისი სტილის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის.

ამჟამად მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში ათ მილიონზე მეტი ადამიანი მისდევს ამ სპორტს.

საქართველოში კარატეს ეს სტილი 70-იანი წლების მეორე ნახევარში შემოვიდა. მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მხრივ დევნისა და წინააღმდეგობებისა, მან მტკიცედ მოიკიდა ფეხი ჩვენში და 1990 წლის გაზაფხულზე შეიქმნა კიდეც მისი ფედერაცია თბილისში. ფედერაციის პრეზიდენტია გურამ ბარაბაძე, რომელიც ამავე დროს „ორბის" კლუბის თავმჯდომარეცაა. სპონსორია საქართველო-გერმანიის ერთობლივი წარმოება „ალუ—საქართველო".

„ორბს" თავისი ფილიალები აქვს სოხუმში, ქობულეთში, გუდაუთასა და თელავში. ჰყავთ ინსტრუქტორები.

როდესაც საქართველოში კიოკუშინკაია კარატეს ცნობილ ინსტრუქტორს, პირველი დანისა და შავი ქამრის მფლობელს ავთანდილ შენგელიას ვკითხეთ, თუ რისთვისაა საჭირო მისი შესწავლა, ასე მიპასუხა: გარდა იმისა, რომ აქ მოსული ახალგაზრდა ჯანმრთელობას გაიმაგრებს და ნებისყოფას გამოიმუშავებს, საჭიროების შემთხვევაში, ძნელბედობის ჟამს გაბედულად დაიცავს თავის სამშობლოს!

სურათებზე: „ორბის" კლუბის ინსტრუქტორი ოთარ გელაძე; სპორტსმენთა ვარჯიში; კლუბის თავმჯდომარე გურამ ბარაბაძე დარტყმის ამტანიანობის მეცადინეობისას; ინსტრუქტორი ოთარ გელაძე და კლუბის წევრი ზაზა ტოგონიძე ორთა კონტაქტური ბრძოლისას.

თედო ნიკოლაიშვილის
ტექსტი და ფოტო.

საკუთარ სახლში

საქველმოქმედო საღამო

სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოება, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, 1991 წლის 4 მარტს აწყობს საქველმოქმედო საღამოს. პროფესორი გურამ შარაძე გაგაცნობთ ზეპირ მოთხრობებს ქართულ ემიგრაციაზე (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, ესპანეთი, საფრანგეთი და გერმანია) მოგზაურობის შთაბეჭდილებათა შედეგად გაგაცნობთ ზეპირ მოთხრობებს.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ სამაჩაბლოდან გადმოხვეწილი ლტოლვილი მომღერლები, მუსიკოს-შემსრულებლები და ცხინვალის თეატრის მსახიობები.

შემოსავალი გადაირიცხება სამაჩაბლოს ლტოლვილთა დახმარების ფონდში.

ბილეთები გაიყიდება სალაროებში და მიიღება განცხადებებიც.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.

ინდექსი 66424